№ 97

შაბათი, 11 ივნისი

1877—1905

ივერია

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთის ფასი დამატებით: წელიწადში 10 მან., ექვს თვეში 5 მან. თვეში 1 მანათი.

რედაქციასთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, უქმეებს გარდა, დილის 11-დან 12 საათამდე.

დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელზე უნდა გამოიგზავნოს; წვრილ წერილებს რედაქცია არ ინახავს, ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტ. ადრესი: Тиф., Ред. „Иверія“.

ცალკე ნომერი 3 კაპ.

№ 97

შაბათი, 11 ივნისი

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 12 კაპ., უკანასკნელზე 10 კაპ., წლიური განცხადება—მორიგებით.

განცხადება რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და ე. მეტცლის და ამხ. კანტორებში—მოსკოვსა, პეტერბურგსა და ვარშავაში.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი ადგილობრივი (კავკასიის) განცხადება მიიღება რედაქციაში: ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

ტელეფონი № 922.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“.

1905 წლის განმავლობაში რედაქცია დაურიგებს ხელის მომწერლებს

პრემიად 12 წიგნს

საერთო სათაურით: **„ივერიის ბიბლიოთეკა“**, რომელშიაც მოთავსებული იქნება: ბელეტრისტული და სამეცნიერო თხზულებანი და წერილები ქართველ და უცხო მწერალთა.

გაზეთში და საპრემიო წიგნებში იქნება მოთავსებული **სურათები** და **ილლუსტრაციები**.

გაზეთის ფასი: 1 ივნისიდან წლის დამლევამდის 5 მ. 50 კ., რომლის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება. ვინც პრემიის უკვე დარიგებულ პირველ წიგნს მოისურვებს, 50 კაპ. უნდა გამოგზავნოს მის ფასად.

ცალკე ნომერი გაზეთისა ღირს 3 კაპ.

რედაქცია იმყოფება ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ Редакція газ. „Иверія“.

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე გიორგის ძე წულუკიძე,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე განსვენებულისა **ელენე**, დედ-მამა **თავადი გრიგოლ სიმონის ძე** და **მარიამ ერმილეს ასული წულუკიძენი** და მამიდები **კნეინები ნინო ჩიქოვანისა** და **მარიამ დადიანისა**. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 7 საათზე.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 საათზე, დ. ხონში. სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (3—2)

8 ივნისს ქ. ქუთაისში გარდაიცვალა

ალექსანდრე წულუკიძე,

რასაც განსვენებულის **ამხანაგები** აუწყებენ მეგობართა და ნაცნობთ.

დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 12 ივნისს, დ. ხონში, სადაც გაასვენებენ ქუთაისიდან იმავე დღეს, დილის 9 საათზე. (3—2)

ივნისის 12-ს „ბელ-ვიუს“ ბაღში გაიმართება

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

სეირნობა და ბაზარი

მიიღება შემოწირულება ბაზრისათვის „საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა).

ახალი წიგნი

გამოვიდა და იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე „ივერიის“ რედაქციაშიაც

ნაწერები

პეტრე უმიკაშვილისა

გამოცემა „ცისკარი“-ს ამხანაგობისა.

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და რამდენიმე ილუსტრაცია.

ფასი 30 კაპ. (30—10)

განცხადება

ლიფლიანდიის გუბერნიის ქალაქ იურიევში

ვაჟთა კერძო სასწავლებელი I ხარისხისა

გუგონ ტრეფნერისა

მოსამზადებელის კლასით და პანსიონით. სწავლის ფასი პანსიონით—110 მან. ნახევარ წელიწადში.

სწავლა დაიწყება 1905 წლის 16 აგვისტოს.

(1—1) **გუგონ ტრეფნერი.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმები ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

მ. უ. ჩიქოვანი.—9 საათიდან 10 საათამდე—თვალის, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ამბტისიანცი. 11—12 საათამდე—კანისა და ვენერიულ-ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ზ. ი. ბაბანასოვი—დილის 11—12 საათ.—ქალისადა ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი—12—1 საათ.—ყელისა, ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი—1—1½ საათ.—შინაგანის და ბავშვებისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ექიმი ქალი **ა. მ. შჩერბინინა**—1½—2 საათ.—ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

საღამოობით:

პ. ა. არდაზიანი.—აწარმოებს მიკრო-ქიმიურ და ბაქტერიოსკოპიულს გამოკვლევას, 5—7 საათ.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 [illegible] ებს მასსაჟს მსურველთ სახლში) და აუცრის ყვავილს, გამართავს საექიმო გიმნასტიკას, ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი—ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის — მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი, დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. წლ.

ტფილისის ექიმები.

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

გადავიდა: ნიკოლოოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდის.

კბილის ექიმი ნ. ტყეშელაშვილი იღებს ავადმყოფებს 9 საათიდან საღამოს 5 საათ., ოლგას ქუჩა, № 31.

გძელიშვილი კონსტანტინე—ელისაბედის ქუჩა, სახლი 13.

ალექსი-მესხიშვილი, სარდიონ სარდიონის-ძე. იღებს სადოსტაქრო ავადმყოფებსა და საშარდე-სქესებრივ ორგანოებით დასნეულებულთ ყოველ-დღე, ნაშუადღევს 5 საათიდან 6-მდე. ოლგას ქუჩა, № 15.

ვ. ს. მუსხელიშვილი—კირონისა და დიდის მთავრის ქუჩების კუთხე, სახლი სვანიშვილისა, № 11. მიიღებს თვალით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს., საღამოთი 6—7 საათ., გარდა სამშაბათის

დიასამიძე ალექსანდრე—ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩის კუთხე, ფოსტის პირდაპირ, მესხიშვილის სახლი, № 18.—იღებს ავადმყოფებს დილით—9—11და საღამოთი 6—8-საათამდე.

ვაჩნაძე სპირიდონ—პეტერბურგის ქუჩა, რითაწნეჲ სახლი.

გაბაშვილი გრიგოლ—კოჩუბეის ქუჩა, № 91.

ბესარიონ პაპოვი—ყელ-ყურისა და ცხვირით ავადმყოფობის ექიმი—1—2 სათ. და 5—8 საათ. მიხეილის ქუჩა, ფორერის სახლის № 157

ჭირს წამლობა უნდა

დღე ისე არ გავა, რომ ერევნიდან ან ნახიჩევანიდან საშინელი და გულშემზარავი ამბავი არ მოდიოდეს. სომხები და თათრები ერთმანეთს დარევიან, შეუბრალებლად ხოცვენ და ჟლეტენ ერთმანეთს ხმალ-ხანჯლით, თოფ-დამბაჩით და, ასე წარმოიდგინეთ, ყუმბარებითაც კი!..

ამ აბობოქრებულ სისხლის ნიაღვარში ყველაზე უფრო შეუწყნარებელი ის არის, რომ აღარ ინდობენ არც ქალებს, არც ბავშვებს და არც მოხუცთ. ადვილად წარმოსადგენია, თუ რაოდენად გაავთრებული უნდა იყოს ადამიანი, რაოდენად უნდა ჰქონდეს გაბოროტებული გული და გონება, რომ ბავშვი, ჩჩვილი და ძუძუმწოვარა, რომელსაც ნადირიც კი შეინდობს ხოლმე, კაცმა ხანჯალზე აავოს, მოსპოს და ფეხით გასთელოს.

ამისთანა ამბების კითხვაზე ყოველი კაცი, რაც უნდა გულ-ქვა იყოს იგი, ცრემლს ვერ იმაგრებს, გულის ძაგძაგი მოსდის, ძილი უფრთხება და მოსვენებას ვეღარ პოულობს.

მრავალი ზომები იქმნა მიღებული ორთავე მძულვარე მხრიდან, რომ ეგ აგუზგუზებული ცეცხლი ჩაექროთ; შეერთებული ინტელიგენცია, წარჩინებულნი ორთავე მხრისა და უმაღლესი სასულიერო წოდება ხელი-ხელს ჩაკიდებულნი დღედაღამ ქადაგებენ სიყვარულსა და შერიგებას, ძმობას, და ერთობას, მაგრამ ამაოდ!..

ჟლეტა-ხოცვის სივრცე დღითი-დღე ფართოვდება. ჯერ ბაქოს დაიწყო, მერე ნახიჩევანს გადავიდა, შემდეგ ერევანს მოედო და ეხლა სხვადასხვა მხარესაც ემჩნევა ჩუმი მოძრაობა...

ყველა ზემოდ ხსენებული საშუალებანი „პალიატიეურია“,—არა ნამდვილი, არამედ ზეზეური, თავის მოსატყუილებელი და თავის დასამშვიდებელი. იმ თავითვე გაიძახოდნენ და დღესაც მაგას იმეორებენ, რომ ეგ უგვანო მოძრაობა გამოწვეულია რაღაც ხრიკებითა და მანქანებითო; „ბნელი ძალები“ ხომ ყველას პირზე აკერია... მაგრამ ავიწყდებათ, რომ ყოველგვარ ძალისათვის, „ბნელია“ იგი თუ ,,ნათელი‘‘, ნიადაგია საჭირო,—თუ ნაყოფიერი ნიადაგი არა აქვს, ბნელი და ნათელი ძალა უშედეგოდ დარჩება. აქ კი მტრობა და შური დღითი-დღე მატულობს და სოაცარის სისწრაფით და სისტემატიურად მეორდება, თითქოს იგი რაღაც გადამდები სენი და ჭირი იყოსო.

ჩვენის აზრით, აწინდელი დამოკიდებულება სომეხ-თათრებისა სწორედ ნამდვილი სენია და არა ფათერაკი. ეგ ისეთი ავადმყოფობა და ჭირია, რომელიც, კარგა ხანია, აღორძინდა სოციალურ-ეკონომიურ ნიადაგზე, აუარებელ ჭირ-ვარამისა და გამწარებული ცხოვრების საფუძველზე...

გადამდებ სენსა და ჭირს, როგორც ყოველსავე ავადმყოფობასა და სატკივარს, რეგულიარი წამლობა უნდა; გულდადებული, ხანგრძლივი და ჩაკვირვებული მკურნალობა ესაჭიროება.

სომეხ-თათართა დღევანდელ შფოთსა და ჩხუბზე ვინც სხვანაირად ფიქრობს, იგი ან გულუბრყვილოდ სცდება, ან განგებ თვალს იბრმავებს და სიმართლეს ემალება.

ცხოვრება მეტად გართულდა, მეტადრე დამოკიდებულება ურთიერთშორის ძველებურს კალაპოტში ვეღარ თავსდება, ნამეტნავად ჩვენში, კავკასიაში. ხალხისათვის დღიურ სარჩო-საბადებლის შოვნა დიდად გასაჭირ საქმედ შეიქმნა და იმავე დროს არიან მთელი დიდი ჯგუფები, რომელთაც ლუკმა ყელიდან ამოსდით სიმსუქნისაგან...

ეხლანდელ ეროვნულ ბრძოლაში ჩაქსოვილია კლასობრივ უთანასწორობისა და მეტ-ნაკლებობისაგან წარმოშობილი წინაამღდეგობაც. გაღატაკებულნი და მშიერნი გამდიდრებულსა და მაძღრებს ებრძვიან...

საჭიროა, ჟურნალ-გაზეთობამ, სომხებისამ და თათრებისამ, პირდაპირ, რაინდულის გამბედაობით შეხედონ თვალებში ამ მოვლენას, გაშინჯონ მტრობის მიზეზები და თითოეულმა აღიაროს თავისიანების ნაკლი და ისტორიული დანაშაული...

მართალია, ეხლანდელ ცხოვრების პრინციპი სასტიკი და ულმობელი ბრძოლაა, მაგრამ ორთავე მხარემ უნდა შეიგნონ, რომ სხვის ნაოხარზე თავის ბედნიერების აშენება გამომწვევია ამგვარ სამწუხარო მოვლენისა, რომელიც ვნების მეტს ვერაფერს მოუტანს ჩვენსავით დაბეჩავებულ მდგომარეობაში მყოფ ერებს...

ტასიაშვილი.

* * *

ქართული ენა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლაში

ის, რასაც ჩვენს სკოლაში „ქართულ ენას“ ეძახიან, შემდეგის სამის საგნისაგან შესდგება: ა) **საკუთრად ქართულის ენისა**, ბ) **სამშობლო გეოგრაფიისა** და გ) **საქართველოს ისტორიისაგან**.

ეს სამი საგანი, რა თქმა უნდა, იმდენად მახლობელი და ქართველ ბავშვის სულთან შეკავშირებულია, რომ ძნელად თუ ვინმე გაბედავს, ჩვენს მოწაფეებზე სთქვას, ვითომც მათ ამ საგნის სიყვარული არა ჰქონდეთ ან სხვებზე ნაკლებად ჰქონდეთ. ჩვენ პირადად ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენს მოწაფეებს „ქართულ ენის“ სიყვარული არ აკლიათ.

მაგრამ, ვინ არ იცის, რომ მოწაფის თვალში ზოგჯერ ფრიად სასიყვარულო საგანიც კი თითქმის ყოველს ინტერესს ჰკარგავს, მის სულსა და გულს შორდება და ნაკლებ მიმზიდველი ხდება. ეს, მომეტებულ ნაწილად, იქ მოხდება ხოლმე, სადაც სასწავლო საგნის **შინაარსი და ფორმა** მოწაფის ჰასაკს, მის ფსიხოლოგიასა და საზოგადო განვითარებასთან არაა შეხამებული.

ვგონებთ, ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ქართველ „მამათა ცხოვრებანი“, შავთელის ლექსები, ჩახრუხაძის „თამარიანი“, თმოგველის „ვის-რამიანი“, ვახტანგ მეექვსის „ქილილა და დამანა“, ანტონ პირველის თხზულებანი და მსგავსი სხვანი, ენისა და შინაარსის მხრით, არა მარტო გიმნაზიურ დაბალ კლასების მოწაფისათვის, არამედ მეექვსე და მეშვიდე კლასის მოწაფეებისთვისაც კი მეტად საძნელო, მათს სულის ვითარებასთან შეუფერებელი და ნაკლებ მიმზიდველია. ყველა ეს თხზულებანი ისეთ სოციალურ ურთიერთობათა ნაყოფია, ისეთ თაობათა სულიერ განწყობილების ნიადაგზეა აღმოცენებული, რომ ჩვენის დროის ქართველისათვის მათის **შინაარსის** გაცნობასა და შესწავლას მარტოოდენ ისტორიული და სამეცნიერო ინტერესი აქვს და არა რაიმე თანადროული მნიშვნელობა. რაც შეეხება ამ თხზულებათა **ენას**, არ ვფიქრობთ, დღევანდელ პედაგოგებში ისეთი ვინმე მოიპოვებოდეს, რომელმაც სასტიკად გაგვკიცხოს ან ნაციონალურ გრძნობის ნაკლებობა გვიკიჟინოს, უკეთუ გავბედავთ და ვსტყვით, რომ მას შემდეგ, რაც ქართველ ერს „კაცია ადამიანის“ ავტორი, აკაკი წერეთელი, „პირველი ნაბიჯის“ დამწერი და ალექსანდრე ყაზბეგი მოევლინა, დიდი შეცდომა იქნება, რომელმამე საშუალო სასწავლებელმა ჩვენს ახალგაზრდობას მშობლიურ ლიტერატურის შესწავლა ძველისა და უძველესის მწერლობიდან დააწყებინოს და მოზარდ თაობის ჩვილი ენა და გონება ხანგრძლივ ამ მოძველებულ მასალაზე ავარჯიშოს.

სათავად-აზნაურო სკოლის ძველი **პროგრამა** კი სწორედ ამგვარს შეცდომას სჩადიოდა. აქ, **მეხუთე კლასის** კურსში, სხვათა შორის, შემდეგი საყურადღებო მუხლია ჩატანილი:

,,**ქართული სიტყვიერება**: ხალხური და მწიგნობრული. დრო ქართულის ანბანის შემოღებისა. ანბანი ხუცური და მხედრული. ამათი ურთიერთ შორისი დამოკიდებულება. დასწყისი ქართულის მწერლობისა. მეხუთე საუკუნე და კვალი ქართულის მწერლობისა. პეტრე ქართველი და მისი მოღვაწეობა უცხო ქვეყნებში. სავდუსტ დედოფლის სახარება. ,,ცხოვრება‘‘ პეტრე მაიომისა. სასანიანთ ფული, წარწერათ. მე-VI საუკუნის პირველი ნაშთი—ურბნისის სახარება; მე-VII საუკუნისა—ჯვარის-საყდრის წარწერა და პალესტინის ,,სადღესასწაულო‘‘: მე-VIII საუკუნისა: სინას დავითნი; მე-IX საუკუნისა: თარიღიანი ხელთნაწერი ,,მოძღვრებანი და სიტყვანი‘‘; ამგვარივე ხელთ-ნაწერი მე-X საუკუნისა. სამოღვაწეო ადგილები: იერუსალიმი, სინა-მთა, ულუმბო, ტრაპიზონი, ანტიოქია; მთარგმნელნი პალესტინაში: დავით და სტეფანე; სინა-მთაზე: მიხეილი და ევსტათი; ათონში: ექვთიმე და გიორგი, ეფრემ მცირე და საბა თუხარელი. მე-X—XI საუკუნის ნაშთები. ,,მოქცევაჲ ქართლისაჲ‘‘ იოანე ბერაჲსა‘‘.

ამასვე ვკითხულობთ მეექვსე და მეშვიდე კლასის პროგრამაშიაც.

მე-VI კლასი: ,,მე-XII საუკუნის მნიშვნელობა ჩვენს მწერლობაში. სარგის თმოგველი. მოსე ხონელი. ჩახრუხაძე და გვირგვინი ჩვენის სიტყვიერებისა შოთა რუსთაველი.— ჩვენის სიტყვიერების დაქვეითება მე-XIII, XIV, XV და XVI საუკუნეებში. მე-VXII საუკუნე, ხანა გამოღვიძებისა და განახლებისა. კავშირი დასავლეთ ევროპასთან. ლათინთა სამღვდელოება. თეიმურაზ I, როგორც მწერალი არჩილ მეფე, როგორც მწერალი‘‘.

მე-VII კლასი: ,,მე-XVIII საუკუნის პირველი ნახევარი და ბეჭდვითი სიტყვა ამ დროს. ქართული სტამბა 1709 წელს. მეფე ვახტანგ VI და მისი ძე ვახუშტი. სულხან საბა ორბელიანი, როგორც მოგზაური და მწერალი. დავით გურამიშვილი, როგორც ხალხურის კილოს დამწყები.—მე-XVIII საუკუნის მეორე ნახევარი: ანტონ I კათალიკოსი და ანტონ ჭყონდიდელი.—მე-XIX საუკუნის პირველი ნახევარი: ალ. ჭავჭავაძე და ნ. ბარათაშვილი.—მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარი და ქართული ჟურნალ-გაზეთობა. გიორგი ერისთავი, გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი; რ. ერისთავი, ალ. ყაზბეგი, აკაკი წერეთელი და ილია ჭავჭავაძე. უახლოესი ხანა და ახალგაზდა მწერლები“.

ამრიგად, მთელი ორი წელიწად-ნახევარი ძველ ქართულ მწერლობასა აქვს დათმობილი, მე-XIX საუკუნის მწერლობას კი ნახევარი წელიწადიც ძლივს ხვდება. მართალია, ახალი მწერლების ზოგიერთ ნაწერებს პირველს ოთხს კლასშიაც აკითხებდნენ, რამოდენიმეს ზეპირადაც ასწავლიდნენ *), მაგრამ სულ სხვაა ეგრედ წოდებულ „სალავათიან“ გაკვეთილებზე რამდენისამე პოემისა და მოთხრობის წაკითხვა და სულ სხვა არის ამა თუ იმ მწერლის სალიტერატურო ნამოღვაწევის სისტემატიურად შესწავლა.

და, აი, სწორედ ახალ მწერლობის ამგვარ შესწავლისთვის ფრიად მცირე დრო რჩებოდა ჩვენის სკოლის მოწაფეს ძველის პროგრამის წყალობით. სამაგიეროდ, მის ნორჩ გონებას უხვად ასაზრდოვებდნენ ჩვენის ტაძარ-მონასტრებისა და სასანიანთ დროის ფულების ზედწარწერებით, სინას მთისა და ჯვარის მონასტრის საეკლესიო წიგნების სახელებით, სარგის თმოგველის, მოსე ხონელის, შავთელისა და ჩახრუხაძის ნაწერებით, საბა ორბელიანის იგავ-არაკებით, ანტონ პირველის ღვთისმეტყველებითა და ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებით, ე. ი. ქართული ენის სწავლებაშიაც იგივე დახავსებული სისტემა სუფევდა, როგორიც კლასიკურ გიმნაზიათა რუსული ენის პროგრამაში დღემდე გაბატონებული. მკითხველი ადვილად წარმოიდგენს, თუ რამდენად „საინტერესო“ და „მიმზიდველი“ უნდა ყოფილიყო ქართული ლიტერატურა ჩვენის სკოლის მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასის მოსწავლეებისათვის.

წელს პედაგოგიურ საბჭოს მიერ დანიშნულმა კომისიამ უარ-ჰყო ეს უვარგისი პროგრამა და პრინციპიალურად გადასწყვიტა: **მეხუთესა, მეექვსესა და მეშვიდე კლასში მარტო მე-XIX საუკუნის ლიტერატურა ისწავლებოდეს**, ხოლო **ძველისა და უძველეს მწერლობის უმთავრესი ნაშთები მერვე კლასისათვის გადაიდოს**, რადგან პედაგოგიური აქსიომა მოითხოვს—ადვილისა და უახლოესისაგან ძნელსა და შორეულზე გადასვლას და არა უკუღმა. ამასთანავე, როგორც ითქვა, ჩვენი ძველი მწერლობა უმთავრესად ისტორიულ-სამეცნიერო ინტერესს წარმოადგენს და მოსწავლისაგან უკვე საკმაო სამეცნიერო მომზადებას მოითხოვს. ამ უკანასკნელ მოსაზრების ძალით, უმჯობესი იქნებოდა, საშუალო სასწავლებელში ძველი მწერლობა სულაც არ გვესწავლებინა, და მართლაც აღნიშნულ კომისიის უმცირესობამ კიდევაც წარმოსთქვა ის აზრი, რომ უმჯობესია, შოთა რუსთაველს გარდა, ძველის მწერლობის ისტორიულ-სისტემატიური შესწავლა სრულიად გამოირიცხოს ჩვენის სკოლის პროგრამიდანაო; მაგრამ, რადგან უმრავლესობა ამისი წინააღმდეგი იყო, კომისიამ საჭიროდ სცნო ძველი მწერლობა სკოლის პროგრამაში დაეტოვებინა, მაგრამ მისი სწავლება მე-VIII კლასში გადაიტანა და შინაარსიც მხოლოდ უმთავრეს ნაშთებით შეზღუდა; თანაც მასწავლებელს დაევალა მე-XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიულ-სისტემატიურს შესწავლას მე-V კლასში ძველის მწერლობის მოკლე ისტორიული მიმოხილვა წაუმძღვაროს.

ქართულს ლიტერატურასთან ერთად, ძველ პროგრამის თანახმად, მოწაფეებს უნდა გაევლოთ პირველსა და მეორე კლასში ქართულის ენის **გრამატიკა**, ხოლო მეხუთე კლასიდან ეგრედ წოდებული **თეორია სიტყვიერებისა**.

როგორც მკითხველს მოეხსენება, გრამატიკა არის **მეცნიერება** ანუ სწავლა ამა თუ იმ ენის ფორმათა და კანონების შესახებ. ადვილი მისახვედრია, თუ რა **მეცნიერება** უნდა ყოფილიყო ის **გრამატიკა**, რომელსაც დღემდე ჩვენის სკოლის პირველისა და მეორე კლასის შეგირდები სწავლობდნენ.

ეს იყო ფრიად მოკლე, ზერელე და უხერხულად შედგენილი, სქოლასტიკურ ტერმინებით ალსავსე, მიმოხილვა ქართულის ენის „ფორმებისა“ და „კანონებისა“. როგორც საზოგადოდ გრამატიკის ყველა რუსულსა და ქართულ სახელმძღვანელოებში, თქვენ აქაც უხვად შეხვდებოდით ბავშვის გონებისათვის მიუწვდომელს ისეთს ტერმინებს, როგორიცაა, მაგალითად: „ქვემდებარე“, „შესმენილი“, „მოთხრობითი“ და „განვითარებითი“ ბრუნვა, „უღვლილება“, „დახრა“ და მრავალნი სხვანი, რომელთაგან არც ერთი არ შეეხება ისეთს საგანს, გინა ქართულ ენის ისეთს ფორმას, რომელსაც რაიმე კავშირი ჰქონდეს **შესმენასა, მოთხრობასა, განვითარებასა, შეუღლებასა, დახრასა და ქვემდებარებასთან**. მაგრამ დავანებოთ თავი ჩვენის საგრამატიკო ტერმინოლოგიის უვარგისობასა და განუვითარებლობას. უეჭველია, გრამატიკის შესწავლას თავისი ფასი და მიმზიდველობა აქვს, მაგრამ არა იმ ჰასაკში, რომელსაც პირველისა და მეორე კლასის მოწაფენი ეკუთვნიან.

ცხადია, ძველი პროგრამა აქ იმ პედაგოგიურ მცნების წინააღმდეგ სცოდავდა, რომელიც მოითხოვს: მოწაფეს ისეთი არაფერი მიაწოდოთ, რასაც მისი გული და გონება ვერ მისწვდებაო.

ამიტომ პედაგოგიურ საბჭოს მიერ დანიშნულმა კომისიამ პრინციპიალურად უარჰყო დაბალ კლასებში **გრამატიკის** სწავლება და **მერვე კლასში გადაიტანა**. აქ მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ **ისტორიულ-შედარებითი, ნამდვილ სამეცნიერო საფუძველზე დამყარებული, გრამატიკა ქართულის ენისა**, ე. ი. გრამატიკა, როგორც მეცნიერება, და არა როგორც მისი ელემენტარული აჩრდილი.

უბრალო წყალის ნაყვას წააგავდა ეგრედ წოდებულის **„სიტყვიერების თეორიის“** სწავლებაც. ამ საგანს მოწაფენი რუსულადაც გადიოდნენ და გადიან, მხოლოდ არა მეხუთესა და მეექვსე კლასში, როგორც ამას ქართული ენის ძველი პროგრამა მოითხოვდა, არამედ მერვეში.

მოვიხსენებთ ერთ საგულისხმო მაგალითს ამ სქოლასტიკურ „მეცნიერების“ სწავლების პრაქტიკიდანაც.

სქოლასტიკურ ტერმინებითა და განსაზღვრებით აღჭურვილი მასწავლებლები გატაცებით ესაუბრებოდნენ მოწაფეებს კლასიკურისა და თანამედროვე პოემათა განსხვავების შესახებ; წინდაწინვე ჩასძახოდნენ, რომ, მაგალითად, „ილიადა“ და „ვეფხის-ტყაოსანი“ კლასიკური პოემებია, ხოლო „ბედი ქართლისა“ და „თორნიკე ერისთავი“ კი თანამედროვენიო; თანაც ეუბნე-

---

*) პირველ ოთხ კლასში, ძველის პროგრამით, **საზეპირო** სულ 78-ია დანიშნული, ამათ შორის 47 იგავ-არაკია; **საკითხ-სათხრობი** 85-ია, აქედან 39 იგავ-არაკია; სულ საზეპირო და საკითხ-სათხრობი 163-ია, რომელთა შორის 86 იგავ-არაკია, ე. ი. მთელს სასწავლო მასალაში **იგავ-არაკთა რიცხვი** 52 პროც. აღემატება.

ბოდნენ: კლისიკური პოემა მით განსხვავდება თანამედროვე პოემისაგან, რომ პირველი არის „მოთხრობა ისეთის საისტორიო ამბავისა, რომელიც შეეხება ამა თუ იმ დიდად საყურადღებო გარემოებას და რომელშიაც თითქმის მთელს ერს მიუღია მონაწილეობა“; ძველებურ პოემის უმთავრესი თვისება კიდევ ის არისო,—განაგრძობდნენ მასწავლებელნი,—რომ იგი „ყოვლადის დაწვრილებით გვიხატავს იმ დროს, რომელიც არის შიგ აღწერილი“, და თანაც ყოველსავე ამბავს „დიდის სიდინჯითა და გულდამშვიდებით, აუღელვებლად“ გადმოგვცემსო; ჩვენის დროის პოემა კი... მაგრამ რაღა „კი“? აქ მასწავლებელმა თვითონაც აღარ იცოდა, რა ეთქვა, რადგან მოწაფეებს უკვე კითხვა ჰქონდათ წამოყენებული: განა „თორნიკე ერისთავი“ და „ბედი ქართლისა“ უფრო მეტად საყურადღებო საისტორიო ამბავს არ გადმოგვცემს, ვინემ „ვეფხის-ტყაოსანიო“? კერძოდ პირველი რით გვიხატავს უფრო ნაკლებ იმ დროის ვითარებას, რომელსაც ეხება, ვინემ უკანასკნელი, და თან უკანასკნელის ალაგ-ალაგ წმინდა ლირიკული კილო რით განსხვავდება პირველის ორის პოემისა და საზოგადოდ ახალ პოემის ენისაგანო?

ამ კითხვაზე მასწავლებელი იბნეოდა, მოწაფეებს ღიმილი მოსდიოდათ და სქოლასტიკა კი სქოლასტიკადვე რჩებოდა. ასეთი იყო „სიტყვიერების თეორიის“ ბედი ჩვენს სასწავლებელში.

ამიტომ იმავე კომისიამ აღნიშნულ საგნის ცალკე შესწავლა ზედმეტ სქოლასტიურ ბარგად ჩასთვალა და მასწავლებელს დაავალა, როცა მოწაფეებს ამა თუ იმ მწერლის ნაწარმოებს შეასწავლის, გზა-და-გზა სალიტერატურო ნაწარმოებთა სტილსა, მათს დარგებსა და გვარებზედაც იქონიოს საუბარი.

მოსამზადებელის კლასის მესამე და მეოთხე განყოფილებაში მოწაფენი გადიან, ეგრედ წოდებულს, **„სამშობლო გეოგრაფიას“**.

კომისიამ შესაძლოდ სცნო ეს საგანი იმავე კლასში დაეტოვებინა.

გადავიდეთ ახლა **საქართველოს ისტორიის** შესწავლაზე. ძველის პროგრამით, საქართველოს ისტორია ორ კონცენტრად იყო გაყოფილი: ეპიზოდიურად და სისტემატიურად. ეპიზოდიურ კურსს მესამესა და მეოთხე კლასში ასწავლიდნენ, სისტემატიურს კი—ზემო კლასებში. კომისიამ ისტორიის ორ კონცენტრად დაყოფა ძველებურივე დასტოვა, მაგრამ შესამჩნევად შეამცირა ეპიზოდიურ კურსის მოთხრობანი. თანაც ეს კურსი გიმნაზიის პირველ კლასიდან უნდა იქნეს დაწყებული და არა მესამიდან, როგორც აქამდე იყო; ხოლო სისტემატიური კურსი მეოთხე კლასში უნდა იწყებოდეს და მეშვიდეში თავდებოდეს. ამასთანავე, სისტემატიურ კურსის შესწავლის დროს, კომისიის აზრით, დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ისტორიულ მოვლენათა პრაგმატიულს დამოკიდებულებას, მათის მიზეზების გამორკვევასა და ქართველ ხალხის შინაურს ეკონომიურს, სოციალურს, პოლიტიკურს, სარწმუნოებრივს, ზნეობრივსა და გონებრივს ვითარებას.

ს. გორგაძე

დეპეშა

(რუსეთისა და პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

9 ივნისი.

დონის როსტოვი, 9 ივნისი. საბჭომ განიხილა მცხოვრებთა მოხსენება 11 აპრილს პოლიციელების და კაზაკების-მიერ ხალხის ამოჟლეტის შესახებ. რადგანაც ამის საქმის გამოძიება უკვე სწარმოებს, საბჭომ გადასწყვიტა შინაგან საქმეთა მინისტრს არაფერი შეატყობინოს. გუშინ საბჭომ ერთხმად დაადგინა იშუამდგომლოს გაძლიერებულ დაცვის მოსპობისა და ქალაქის მილიციის დაარსების შესახებ.

პეტერბურგი, 9 ივნისი. ის ოფიცრები, რომლებმაც ნიკოლოზის საინჟინერო აკადემია, საინტენდანტო და აღმოსავლეთ ენების კურსები გაათავეს, ხელმწიფე იმპერატორს წარუდგნენ.—7 ივნისს ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრე თეოდორეს ასულმა ცარსკოე სელოში დაათვალიერა: ძიძათა სკოლა, მის უმაღლესობის სახელობაზე დაწესებულებისა და ავადმყოფებისათვის გამართული სავადმყოფო და მოწყალების დათა სადგომი.—ორის ჯავშნიან გემის ასაშენებლად პეტერბურგის ვაჭართა შორის ხელის მოწერა გამართა.

მოსკოვი, 9 ივნისი. „მოსკოვსკ. ნედელიას“-ს რედაქტორის ის ბრალდება, რომელსაც მას სდებდნენ, მოსკოვის სამოსამართლო პალატის პროკურორმა დანაშაულობად არა სცნო.

ათინა, 8 ივნისი. სამინისტრომ სამსახურს თავი დაანება. მეფემ რალლის კაბინეტის შედგენა დაავალა. საქმეთა ვითარება გამწვავებულია, რადგანაც დელიანისტების პარტია მტკიცე საერთო-ერთო კავშირს მოკლებულია. მთავრობის პარტიების უმრავლესობის შედგენა ყოვლად შეუძლებელია.

ლონდონი, 8 ივნისი. ბალფურმა პალატაში შეიტანა ბილლი სამხრეთ-აფრიკაში მომხდარ ბოროტმოქმედების აღმოსაჩენად დანიშნულ კომისიისთვის განსაკუთრებულ უფლებების მინიჭების შესახებ.

სიმლა, 8 ივნისი (რეიტ.). კიტჩენერის უფლებების გაფართოებამ ინდოეთში ძალიან დიდი სენსაცია გამოიწვია; ფიქრობენ, რომ ეს გარემოება ვიცე-კოროლის ავტორიტეტს შეასუსტებსო.

ბერლინი, 8 ივნისი. საფრანგეთის ელჩმა გარეშე საქმეთა სამინისტროს ნოტა გადასცა. „ლოკალ ანცეიგერი“ ოფიციალურად აღნიშნავს, რომ ჯერ ისევ კრიზისიაო. თუ რუვიემ ბევრი რამ არ დაუთმო, გერმანია მაროკოსთან პირის-პირ მოლაპარაკებას გაჰმართავსო.

კონსტანტინეპოლი, 8 ივნისი. სფაკიის ოლქში, სადაც კინდუპოსი აჯანყებას აპირობს, ჟანდარმერია საერთა-შორისო ჯარების დახმარებას მოელის. სხვა უმთავრეს ადგილების ოკუპაცია გრძელდება.

ვარშავა, 8 ივნისი. კრაკოვის მახლობლად, ჩვეულებრივ დღესასწაულის დროს, არეულობა მოხდა. დაიჭრა ხუთი კაცი, რამდენიმე დაშავდა. ქუჩაში ბევრი ქოლგები, ლოცვანები, შლაპები და ჯოხები დარჩა.

სუმი, 8 ივნისი. მაზრაში ორასი კაზაკი გაგზავნა.

ლონდონი, 8 ივნისი. ინდოეთის საქმეთა მინისტრმა ბროდრიკმა საზოგადოებათა პალატას კიტჩენერის მოსაზრება წარუდგინა: 1) ინდოეთში, მშვიდობიანობისა და ომიანობის დროს, ცხრა დივიზია უნდა ვიქონიოთ, ამასთანავე ვიქონიოთ მთელის წლის სანოვაგე და სურსათი ჯარის შესანახად; 2) საველე ჯარი 80,000-დან 140,000 უნდა ავიდეს; 3) მობილიზაციისთვის საჭირო ნივთები, ჭრილობის შესახვევი მასალები და სურსათი დამზადდეს; 4) ჯარს ადგილი ეცვალოს და ჩრდილო-დასავლეთის საზღვარს დაუახლოვდეს; 5) დაწესდეს გამგეობა, რომელმაც 15—20 ათას მუშის სამზადისის წარმოებას თვალ-ყური უნდა ადევნოს. ამ გამგეობის უწყებაშივე იქნება იარაღისა და ყუმბარების დამამზადებელი ქარხნები. განზრახულია, 1906 წ. კოსიპურში იარაღის ქარხანა დაარსონ. ისხაპურში თოფხანა, ხოლო კოუნტურში—ტყვიის და სანაღმანდო ქარხნები. ყოველივე ეს იმისთვისაა საჭირო, რომ ინდოეთს ომის დაწყებისას თვითონ შეეძლოს საჭირო ნივთების დამზადება. რკინის გზის გაყვანის შესახებ ბროდრიკმა განაცხადა,—დრო არის ამ საკითხს გულით მოვეკიდნეთო. ლონდონის ბაზარი და იქიდან ფულის შემოსვლელობა მაფიქრებს, თორემ დღევანდელ მუშაობას გავაორკეცებდი და ამით ინდოეთის მთავრობას დავეხმარებოდიო.

ვილნა, 9 ივნისი. დვინსკის დროებით სამხედრო სასამართლოში მცირე-წლოვან დამნაშავეთა მაკოვსკისა, მტეიმანისა და პერელმტეინის საქმე გაირჩა. ამათ, დვინსკის პოლიციმეისტერის თანაშემწის ზუდიგინის მოკვლის განზრახვა ბრალდებოდათ. პერელმტეინის ავადმყოფობის გამო, მისი საქმის გარჩევა გამოაცალკევეს. სასამართლომ მაკოვსკის ჩამოხრჩობა მიუსაჯა. მტეიმანი—გაამართლა. მაკოვსკის დამცველებმა განაცხადეს, უდანაშაულოსა სჯიათო. ექვსმავე დამცველმა პირადი და წოდებრივი ფიცი მიიღო თავის განცხადების დასამოწმებლად.

ბერლინი, 9 ივნისი. საფრანგეთმა გერმანიას ნოტა გადასცა, სადაც იწვევს მას, წინადვე განვსაჯოთ ის საკითხები, რომლებიც კონფერენციამ უნდა განიხილოსო. საკითხები მაროკოს სულთანთან საქმის მორიგებასა და ალჟირის საზღვართა უზრუნველყოფასაც უნდა ეხებოდესო. საფრანგეთის მთავრობას აუცილებელ საჭიროებად მიაჩნია, რომ მაროკოს საზღვრებზე ჯარს საფრანგეთის ოფიცერი უფროსობდეს და ფრანგ უნტერ-ოფიცრის მიერ გამოწვრთნილი რაზმები შესდგეს. აქაური ოფიციალური წრეები ამბობენ, რომ ეს ნოტა შეთანხმებას საფუძვლად ვერ დაედებაო. ის უპირატესობანი, რომელიც საფრანგეთს სურს, სულთანის განზრახვას არ ეთანხმებაო. თუ საფრანგეთი ახირდება, გერმანია თითონ პირდაპირ მაროკოს მთავრობასთან გაჰმართავსო.

გდოვი, 8 ივნისი. გუშინ, ერობის კრებაზე, 18 თებერვლის რესკრიპტის გამო მოხსენება სიიდან გამორიცხეს. კრება შესწყდა.

ბუდაპეშტი, 9 ივნისი. თუმცა ხმის უმეტესობით პალატამ მთავრობას უნდობლობა გამოუცხადა, მაგრამ ფეიერვერი მაინც არ გადადგება. ოპოზიცია საწინააღმდეგოდ ემზადება. ლიბერალებიც კი ჰკიცხავენ სამინისტროს საქციელს. ბევრი კომიტეტი იუწყება: ხალხი მეტად აღელვებულიაო.

კელცი, 8 ივნისი. კელცის მიდამოებში ცინკის მადანი აღმოაჩინეს. ჰფიქრობენ, სილეზიის მადნის შტოაო.

მოსკოვი, 8 ივნისი. კავშირთა კავშირმა კომიტეტი შეადგინა საერთო პოლიტიკურ გაფიცვისათვის. დაადგინეს, სრულიად აღარ მიმართონ ეკონომიურს გაფიცვას. ქალაქის მოურავთა კრებას 92 მოურავი და 150 წარმომადგენელი დაესწრება. ივნისის ნახევარში მოსკოვში შეიკრიბებიან ომში დაჭრილთა და ავადმყოფ ჯარის-კაცთათვის მზრუნველ ერობათა წარმომადგენლები.

განზრახვა აქვთ, ომის საჭიროებაზე ფულის გადადება შესწყვიტონ, ბრძოლის ველიდან ყველა საერობო რაზმები დააბრუნონ, ომისთვის გადადებული მთელი ხარჯი ომში დაშავებულ-დაჭრილთ მოახმარონ. ამავე აზრით, ქალაქის მოურავთა კრების შემდეგ, ქალაქის საბჭონი საგანგებო კრებას მოახდენენ.

პარიზი, 9 ივნისი (ჰავასი). საფრანგეთის მთავრობის ნოტა მაროკოს კითხვის შესახებ გუშინ საღამოს გერმანიის ელჩს რადოლინს გადაეცა. ნოტაში თხუთმეტი გვერდია. ირწმუნებიან, რომ რუვიეს, საკითხის ისტორიულად განხილვის შემდეგ, ის დასკვნა გამოჰყავს, რომ საფრანგეთს მაროკოს საქმეში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. შემდეგ ნათქვამია, საფრანგეთი ყოველთვის მაროკოს ტერიტორიის ხელ-შეუხებლობისა და თავისუფალ ვაჭრობის მომხრე ყოფილაო. საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის შესახებ საფრანგეთი არაფერს ამბობს.

კლივლენდი, 8 ივნისი. ნიუ-იორკის რკინის გზაზე ის მატარებელი, რომელიც საათში 70 მილს გადიოდა, რელსებიდან გადავარდა. ვაგონები ნაფოტებად იქცა, ცამეტი მგზავრი მოკვდა, ოცი დაშავდა.

ათინა, 8 ივნისი (ჰავასი). რადგანაც რალლისა და ახლანდელ სამინისტროს უთანხმოება მოსდით, ახალ სამინისტროს შესადგენად მოლაპარაკება შეწყვეტილია. რალლის დელიანისტების პროგრამის შეცვლა უნდოდა, მინისტრები კი ამის წინააღმდეგნი იყვნენ, ამიტომ მდგომარეობა ისევ გამოურკვეველი შეიქმნა.

ეგორიევსკი, 8 ივნისი. დღეს აქ ცეცხლი გაჩნდა. იწოდა ის უბანი, სადაც განსაკუთრებით ღარიბები ცხოვრობენ. ქალაქის ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ვერა უშველა-რა.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები.

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

9 ივნისი.

ვაშინგტონი, 8 ივნისი. იმედი აქვთ, რომ რწმუნებულთა შეხვედრის ვადას ამ კვირას გამოაცხადებენო.

ლონდონი, 9 ივნისი. ლონდონის თეატრის „ალგამბრის“ დირექტორებმა წინადადება აღძრეს, ერთის წარმოდგენის შემოსავალი ომში დახოცილ იაპონელთა სალდათების ოჯახებს დაურიგდესო. იაპონელებმა ფულის მიღებაზე უარი განაცხადეს, თუ რუსის სალდათების ოჯახებსაც არ გაუნაწილებენ. გადასწყდა, წინადადება აღიძრას ორივე მხარეს სასარგებლოდ.

(ღამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ზავი. „მატენს“ პეტერბურგიდან ატყობინებენ: რუსეთის მთავრობას უნდა, რომ უცხოელებს რუსეთი დამარცხებულად არ მიაჩნდეთ და ამიტომ პირველი ხელს არ გაუწვდის იაპონიას. სანამ რუსეთი არ განიხილავს იაპონიის პირობებს ზავის შესახებ, დროებით მორიგება არ მოხდებაო (ს. ო.).

აქამდის გამორკვეული არ არის, ვის ნიშნავს რუსეთი წარმომადგენლად ზავის შესახებ მოლაპარაკების დროს. ხან ამბობენ, თავის ამერიკელ ელჩს კასსინისა და პროფესორს მარტენსსაო, ხან იაპონიაში ელჩად ნამყოფს როზენსა და ვიტტესაო; ახლა კი იუწყებიან, წარმომადგენლებად გენერალი კუროპატკინი და პარიზის ელჩი ნელიდოვი იქნებიანო (ნ. ქ.).

ხაზინის გაძარცვა. „ნოვ. ვრემიაში“ ვინმე გლინკა ამტკიცებს, რუსეთის მოხელეებმა ხაზინა გაქურდესო, და მაგალითად შემდეგი ფაქტები მოჰყავს: ერთსა და იმავე ნახშირში იაპონელები 7 მან. და 50 კ. აძლევდნენ, რუსები—12 მანათს; კარდიფის ნახშირში იაპონელები 12 მ. აძლევდნენ, რუსები კი—22 მან., 4 მანათიან ზეთს 18 მანათად ყიდულობდნენ; 4 მანათიან შაქარს 7 მანათად ღებულობდნენ და სხ. ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ ერთ თვეში ომი რუსეთს 110 მილიონ მანათად უჯდება, და იაპონიას კი—30 მილიონად (ნ. ვ.).

სახალინი. თუ როგორ არის გამაგრებული სახალინი, რამდენი მცველი ჰყავს და რამდენ ყურადღებას აქცევს მთავრობა ამ უმდიდრეს კუნძულს, შემდეგიდან სჩანს: მთელ სახალინში მარილი არ მოიპოვება; ყველგან სიმშილობა დაიწყო და სამი თვის განმავლობაში ...ფოსტა არ მოსულა (ნ. ვ.).

ახალი ამბავი

გაზ. „ნოვ. ობოზრ.“ სიტყვით, ლეჩხუმის მაზრის სოფელ ორბელში შამშე გელოვანის მკვლელთ, თავად **გარდაფხაძებს, შეუდგენიათ ისეთივე მილიცია**, როგორიც ახლა გორის მაზრაშია.

◆ როგორც ჩვენს მკითხველებს მოეხსენებათ, ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელეებმა მინისტრთა კომიტეტში პეტიცია გაგზავნეს თავის ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ. ახლა **უმთავრესი სამმართველო ატყობინებს მთხოვნელებს: „თუ მეორედ გაგიბედნიათ ასეთის შუამდგომლობის აღძვრა, ყველანი სამსახურიდან იქმნებით დათხოვნილნი.** ტყუილად უთითებთ 18 თებერვლის ბრძანებაზე, იგი სახელმწიფო წეს-წყობილებას ეხება და არა კერძო დაწესებულებებში მოსამსახურეთაო“.

◆ დღეს, 11 ივნისს, საღამოს 8 საათზე, **სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში დანიშნულია** გაგრძელება იმ კრებისა, რომელმაც უნდა განიხილოს მოხსენება სათავად-აზნაურო სკოლის სასურველ რეფორმების შესახებ.

◆ როგორც ბათომიდან გვატყობინებენ, 6 ივნისს **სოფელ ჩაქვში დაუჭერიათ მამადიანი ლულუს-გულალ-ოღლი**, რომელსაც ცნობილ მუფტის მკვლელობა ჰბრალდება.

◆ ქართველთა სამღვდელოებამ გუშინ-წინ მინისტრთა კომიტეტში გაგზავნა პეტიცია, რომლითაც, ქართლ-კახეთისა დ იმერეთის ეპარქიების სამღვდელოების კრების დადგენილების თანახმად, **ქართულ ეკლესიისთვის ავტოკეფალიას თხოულობს** (ტ. ლ.).

◆ ბლაღოჩინ მღვდლებს ი. ხატიაშვილს, ი. ჩიტაძეს, დ. ხელაშვილს და ბ. ფურცელაძეს ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ **მოსთხოვა მიზეზი კრებაზე ჩამოუსვლელობისა** და შეეკითხა, თქვენც თანახმა ხართ ბლაღოჩინობის თანამდებობის დატოვებაზე, თუ არაო.

◆ ქართლ-კახეთის სამღვდელოებამ **თანაგრძნობის დეპეშა მიიღო** გურია-სამეგრელოს სამღვდელოებისაგან.

◆ ქუთაისიდან **ჩამოვიდა სამღვდელოების დეპუტაცია** და ქართლ-კახეთის სამღვდელოებას თანაგრძნობის ადრესი გადასცა.

◆ 9 ივნისს „მშაკის“ რედაქციას ვორონეჟში მცხოვრები სომხები დეპეშით სთხოვენ: პოლიციელთაგან 31 მაისს შეურაცხყოფილ **ქართველ სამღვდელოებას** ჩვენი თანაგრძნობა გამოუცხადეთო.

◆ 15 ივნისს ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია საქმე ფეოგნოსტე შუტოვისა, იასონ გოგიასი, თედო კლდიაშვილისა (იგივე მაღრაძე) და ავსტრო-უნგრეთის ქვეშევრდომის ოსიპ რაუსალისა, რომელთაც 1904 წელს **პროკლამაციების გავრცელება ჰბრალდებათ.** დამნაშავეთ იცავენ ნაფიცი ვექილები: ზურაბიშვილი, ბარათაშვილი და ნ. ელიავა.

◆ კავკასიის ყველა კუთხიდან ტფილისში ჩამოსულმა ბეგებმა ხელმწიფის მოადგილესთვის

ფელეტონი

დამფუძნებელი კრება

თანასწორი საარჩევნო უფლება.

დიდი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხისთვის თანასწორ საარჩევნო უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ არავის—არც მდიდარს, არც ღარიბს, არც გაუნათლებელს, არც დედაკაცსა და არც მამაკაცს, არც დიდსა და არც პატარას—ერთ კენჭზე მეტი არ უნდა ჰქონდეს და, პირიქით, ყველას თითო კენჭი უნდა ჰქონდეს უთუოდ. ერთი სიტყვით, თითო ადამიანს—თითო კენჭი! ყოველ ამომრჩევლის კენჭი სხვის კენჭს უნდა უდრიდეს, ე. ი. იმასაც ისეთივე ძალა და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, როგორიც სხვის კენჭებს ექმნება. ზოგიერთ ქვეყანაში შემოღებულია საყოველთაო საარჩევნო უფლება, მაგრამ ამის გარდა მდიდრებსა და განათლებულებს ზედმეტი კენჭიც ეძლევათ, იმის მიხედვით, თუ ვის რამდენი მამული აქვს, რამდენი ფული აქვს, ან რამდენად განათლებულია. ამ წესის შემოღებას ყოველი პატიოსანი ადამიანი წინ უნდა აღუდგეს. განა მდიდრებსა და განათლებულებს თავიანთი სიმდიდრე და ცოდნა არ ეყოფათ, რომ ეს ზედმეტი,—ხალხის დასამონავებელი,—ნაწილიც არ მიენიჭოთ? განა მდიდრები უამისოდ კი არ ბატონობენ? არა და არა! ხალხი მთელი თავის ძალღონითა და სიმტკიცით უნდა შეებრძოლოს ამ წესს, თორემ ხალხმა მდიდრებს თუ ზედმეტი კენჭი მისცა, ეს თავის მოკვლა, თავის ხელით თავის ჩამოხრჩობა იქნება.

ყველამ იცის, რომ შეიძლება საარჩევნო კანონებში ერთი სიტყვითაც არ იყოს ნათქვამი, მდიდრებს უპირატესობა ეძლევათო, ნამდვილად კი თვითონ არჩევნები ისე მოეწყოს, რომ შეძლებულნი ყოველთვის გამარჯვებულნი დარჩებიან. ამისთანა ხრიკები აქაც მრავალზე უმრავლესია. აი მაგალითებიც:

შეიძლება კანონში ნათქვამი იყოს, რომ არჩევანი საყოველთაო უნდა იყოს და თითო ამომრჩეველს თითო კენჭი ეძლევათ, მაგრამ ამასთან ყოველი წოდება თავის დეპუტატებს ცალ-ცალკე ირჩევსო. ამისთანა კანონი საყოველთაო არჩევანს ძირიანად სპობს და ანადგურებს. აი, როგორ: ავიღოთ, მაგალითად, რუსეთის შიდა-გუბერნიები, სადაც შემოღებულია ერობა. იქ გლეხები ცალკე ირჩევენ ხმოსნებს და მემამულენი—ცალკე. მერე რა გამოვიდა აქედან? 9523 ხმოსნიდან ნახევარზე მეტი—5433 ხმოს. თავად-აზნაურია! მერე განა რუსეთში თავად-აზნაური გლეხობაზე მეტია? სულაც არა! რამდენჯერმე ნაკლებია, ხმოსნებს კი უფრო მეტს ირჩევენ, ვიდრე გლეხები. ჰო და, საქმეც ის არის, რომ წოდებრივ არჩევნების შემოღებას მიზნად აქვს ერთი წოდების გაბატონება და მეორეს დაჩაგვრა. მაშ, ცხადია, რომ წოდებრივ არჩევნების დროს საყოველთაო არჩევნების შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება.

მეორე ხრიკიც არის შემოღებული თანასწორ საარჩევნო უფლების შესაზღუდავად; ამ ხრიკს ეწოდება საერო წარმომადგენლობის ორი პალატა. ამ პალატებს უმეტეს შემთხვევაში ეწოდება ზედა და ქვედა პალატები. ქვედა პალატაში დეპუტატებს მთელი ხალხი გზავნის, ზედა პალატაში კი მხოლოდ მდიდრები, მემამულენი, ვაჭრები და სამღვდელოება. ყოველი კანონი უეჭველად ორივე პალატამ უნდა მიიღოს და დაამტკიცოს. ასეთი წესი სრულიად არღვევს თანასწორ საარჩევნო უფლებას, რადგან შეძლებულებს ორი კენჭი ეძლევათ,—ერთი ქვედა-პალატაში, მეორე ზედა-პალატაში, უბრალო მშრომელ ხალხს კი მხოლოდ ერთი კენჭი ეძლევა. მაგრამ ესეც არა კმარა: შეძლებულის კენჭს უფრო მეტი ძალა აქვს, ვიდრე ღარიბისას; აი, რატომ: რადგან ყოველ კანონს ორივე პალატა ამტკიცებს, ამიტომ ზედა-პალატას, რომელშიაც ერთი-მუჭა მდიდარი ხალხი გზავნის დეპუტატებს, ნება აქვს—არ მიიღოს დ არ დაამტკიცოს ქვედა პალატის-მიერ შემუშავებული კანონი. ამრიგად მთელი ხალხის სურვილი ერთ მუჭა-მდიდრებზეა დამოკიდებული! ეს განა სამართალია? ყველას უნდა ახსოვდეს, რომ, ვინც ორ პალატას თხოულობს, იმას ხალხის უმეტესობაზე მდიდრების გაბატონება უნდა.

ორ პალატის არსებობის დროს თანასწორობა შეუძლებელია! ხალხს მხოლოდ ერთი და სრულ უფლებით აღჭურვილი საერო წარმომადგენლობა უნდა. ამ წარმომადგენლობას—ერთ პალატას უნდა ჰქონდეს განუსაზღვრელი უფლებანი და არავისგან არ უნდა იყოს დამოკიდებული.

მაგრამ ისევ ხრიკებს დავუბრუნდეთ. ხშირად კენჭს, ეგრედ წოდებულ, იურიდიულ პირებსაც აძლევენ, ე. ი. ყოველნაირ ისეთ საზოგადოებასა და ამხანაგობას, რომელთაც მთავრობისაგან დამტკიცებული წესდება და ქონება აქვთ. ადამიანი იტყვის, ეს არაფერიაო; ნამდვილად კი ამასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს კანონი იმას ნიშნავს, რომ ყველა მდიდარ კაცს, რომელსაც წილი აქვს ამა თუ იმ ქარხანაში, ან ვაჭრობაში, ბანკში, გლეხსავითა და მუშასავით ერთი კენჭი კი არ ექნება, არამედ ორი, სამი, ხუთი და მეტიც. ყოველი შეძლებული კაცი ჯერ თავის მაგიერად ჩააგდებს კენჭსა, მერე—როგორც რომელისამე ქარხნისა, მესამედ—როგორც მადაროების რწმუნებული და სხ. აბა, სად არის აქ თანასწორობა?

თანასწორობის დასარღვევად სხვა ხრიკიც არის: ამომრჩეველს ნება ეძლევა კენჭი ჩააგდოს ყოველ ოლქში, სადაც კი უძრავი მამული აქვს. ამის გამო ყოველ მემამულეს, ან ვაჭარს, რომელსაც რამდენსამე ოლქში აქვს მიწა და სავაჭრო, ეძლევა რამდენიმე კენჭი, რადგან ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ოლქში აძლევს კენჭს თავის კანდიდატს. ამის გამო საჭიროა, რომ ყოველ კაცს მხოლოდ ერთ ოლქში ეძლეოდეს კენჭის ჩაგდების ნება; სიყალბის ასაცილებლად კი იმ საარჩევნო ბარათზე, რომელიც ყველა ამომრჩეველს ეძლევა, აღნიშნულ უნდა იქმნეს, რომ ამა და ამ კაცს კენჭი ეძლევაო. ყველას შეუძლია კენჭი იმ ოლქში ჩააგდოს, სადაც სურს, ხოლო მეორე კენჭი კი აღარ უნდა მიეცეს.

ყველა ამგვარ სიყალბის ჩამოთვლა ძნელია, მაგრამ ერთ ხრიკს კიდევ მაინც დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ, რადგან ამ ხრიკით ძალიან გაუჭირეს საქმე გერმანიის მშრომელ ხალხს და, იმედია, ამისთანა წესის შემოღებას სხვაგანაც ეცდებიან.

კანონით გერმანიაში შემოღებულია საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭის ყრა. უკანასკნელ წელიწადს გერმანიის პარლამენტში—რეიხსტაგში არჩეულ იქმნა 81 დეპუტატი სოციალ-დემოკრატი, ცენტრმა კი—კათოლიკეთა სამღვდელოებამ 100 დეპუტატი აირჩია. ყველამ, ვინც კი იცის, რომ გერმანიაში შემოღებულია საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევანი, იფიქრებს და გაკვირდება: როგორ? თითქო ამბობენ, გერმანიაში ხალხი სულ დემოკრატი არისო, ნამდვილად კი მღვდლებმა მუშებზე მეტი დეპუტატი აირჩიეს? მაშასადამე, გერმანიაში მღვდლებს უფრო მეტი გავლენა ჰქონიათ, ვიდრე მუშებსო? ეს თითქო ასეც არის, მაგრამ აბა ერთი ყურადღება მიაქციეთ დეპუტატების რიცხვს კი არა, არამედ იმ კენჭების რაოდენობას, რომელიც მიიღეს მუშებისა და მღვდლების დეპუტატებმა. მშრომელ ხალხის დეპუტატებმა მიიღეს 3.025,000 კენჭი, მღვდლების დეპუტატებმა კი—მხოლოდ 1.856,000. მაშასადამე, მშრომელ ხალხის დეპუტატებმა მღვდლების დეპუტატებზე მეტი კენჭი მიიღეს, რეიხსტაგში კი მშრომელ ხალხს მღვდლებზე ნაკლები დეპუტატები ჰყავთ. საშუალოდ თითო დემოკრატმა დეპუტატმა 37,345 კენჭი მიიღო, ცენტრისამ კი—სულ 18,560. ანუ, უკეთ რომ ვთქვათ, მშრომელ ხალხს თითო თავის დეპუტატისთვის 37,345 კენჭი უნდა მოეკრიბა, სამღვდელოებას კი—18,560, ე. ი. ორჯელ ნაკლები. მაშასადამე, ორ შეგნებულ მუშისა ან გლეხის აზრს ისეთივე ძალა ჰქონდა, როგორიც სამღვდელოების მომხრე ერთ შეუგნებელ კაცის აზრს. საარჩევნო უფლება მართლა თანასწორი რომ ყოფილიყო, გერმანიის მშრომელ ხალხს 81 დეპუტატის მაგივრად 162 დეპუტატი უნდა გაეგზავნა. აქედან ცხადია, რომ კანონის გარდა თანასწორობა ცხოვრებაში, არჩევნების წესრიგშიაც უნდა იყოს, ნამდვილად კი იქ ერთ შეუგნებელ კაცის ხმა ორ შეგნებულის ხმას უდრის. მაშ როგორ მოხდა ეს, როცა კანონით გერმანიაში შემოღებულია თანასწორი საარჩევნო უფლება?

სულ უბრალოდ: მთელი სახელმწიფო საარჩევნო ოლქებად არის დაყოფილი. ის ადგილები, სადაც ბევრი ქარხანა არის და სადაც ამ ქარხანაში ბევრი მუშა—ამომრჩეველია,—დიდ საარჩევნო ოლქებად არის დანაწილებული; იქ კი, სადაც განუვითარებელი, დაჩაგრული და შეუგნებელი გლეხობაა—პატარ-პატარა საარჩევნო ოლქები არის. თითო ოლქი, რამდენი მცხოვრებიც იყოს, ერთ დეპუტატს ირჩევს. ამრიგად, დიდი ოლქები და ქალაქის ოლქები, პატარა და სოფლის ოლქებთან შედარებით, დაჩაგრულნი არიან. ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ქალაქი სწრაფად იზრდება, ქალაქს სოფლის ღარიბ-ღატაკნი აწყდებიან, სოფელში კი მხოლოდ შეძლებულნი რჩებიან. ქალაქში ხალხი თანდათან მატულობს, სოფელში კი კლებულობს; ამას ყურადღებას არ აქცევენ და ქალაქსაც იმდენი დეპუტატი ეძლევა, რამდენიც სოფელს. აი ამას, გერმანიის „განთქმული“ მოღვაწე ბისმარკი „საარჩევნო გეოგრაფიას“ ეძახდა. მაგრამ იგივე ბისმარკი ამ „გეოგრაფიით“ არ დაკმაყოფილდა და მშრომელ ხალხს მეორე მახეც დაუგო. ბისმარკი ცდილობდა მთელი სახელმწიფო ისეთ საარჩევნო ოლქებად დაეყო, სადაც ქარხნის მუშები უმცირესობას შეადგენენ. მაგალითად, ზოგჯერ რომლისამე ქალაქის იმ უბანს, რომელიც ქარხნებით იყო სავსე, ქალაქის საარჩევნო ოლქს კი არ აწერდნენ, არამედ მახლობელ სოფელს. აი, აქედან კი რა გამოდიოდა: ვთქვათ, ოლქში 30,000 ამომრჩეველია, მათ შორის 10,000 ქარხნის მუშა. მაშასადამე, მუშები ყოველთვის ცალიერზე დარჩებიან და მათი 10,000 კენჭიც სულ ტყუილა-უბრალოდ იკარგება. ბისმარკმა ამნაირ წესით შექმნა აუარებელი ოლქი და ურიცხვ მუშასაც კენჭი დაკარგვინა. საარჩევნო ოლქები სხვანაირად რომ იყოს გამოჭრილი, ორი ოლქის მუშა ერთ ოლქში ჩააგდებდა კენჭსა და თავის კანდიდატს გაგზავნიდა პარლამენტში.

ეჭვს გარეშეა, რომ სხვაგანაც ამნაირ „გეოგრაფიულ“ ხრიკებს დაიწყებენ. ამიტომ ყველას ყური ცქვიტად უნდა ეჭიროს და ხალხმა მედგრად მოითხოვოს, მცხოვრებთა რაოდენობით ყველა საარჩევნო ოლქი თანასწორი იყოს. ხალხი ფრთხილად უნდა იყოს და ყველაფერს თვალყური ადევნოს, რომ არ შემოიღონ ზემოხსენებული „გეოგრაფია“, თორემ ხალხს ისეთ მახეებს დაუგებენ, რომ მათი მოსპობა ძალიან გაძნელდება შემდეგში.

Д.

ორატორი

(ჩეხოვისა)

ერთ მშვენიერ დღეს კოლეჟსკი ასესსორს კირილე ივანეს ძე ვავილონოვს ასაფლავებდნენ. იგი ორი სენის მსხვერპლი შეიქმნა: ბოროტი ცოლისა და ლოთობისა.

როცა პროცესიამ სასაფლაოსკენ გასწია, ამ დროს ერთი მისი თანამსახურთაგანი, პოპლავსკი ეტლში ჩაჯდა და თავის მეგობარ გრიგოლ პეტრეს ძე ზაპოიკინთან გაეშურა. ზაპოიკინი ახალგაზრდა, საკმაოდ ცნობილი კაცი იყო. მკითხველთა უმრავლესობა მას იცნობს როგორც ნიჭიერს ორატორს. რა დროსაც მოსთხოვდით, ხელად შეხანხლავდა რიჩს. სიტყვა ისე ლამაზად და მწყობრათ სჩქეფს მისი პირიდან, როგორც წყალი საწვიმარ მილიდან; მისი მჭევრმეტყველე-

წარსადგენი **პეტიცია შეიმუშავეს**. პეტიციის მირთმევა 12 კაცს დაევალა. ხელმწიფის მოადგილეს ჯერ აუდიენცია არ დაუნიშნავს. უკანასკნელი ორი დღე, **სომხებსა და თათრებს შუა მშვიდობიანობის დასამყარებელ ზომებს მუშაობენ** (ნ. ო.).

◆ ნიაღვრებმა ნავთლუღ-ალთაღლას შორის ძლიერ **წალეკა რკინის გზის ლიანდაგი**, რის გამოც მთელის დღით მიმოსვლა შეჩერებული იყო. აქსტაფა-ტფილისს შორის საქონლის მატარებლების მიმოსვლა შეჩერებულია, ვიდრე გზა შეკეთდებოდეს. რკინის გზის სამმართველომ ტფილისსა და ბათუმში გასაგზავნ საქონლისა და ამანათების მიღება აკრძალა.

◆ 9 ივნისს **ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა დაუყოვნებლივ დაკეტოს ის სამიკიტნოები**, რომელთა პატრონებიც გადაჭრით ამბობენ, «სამიკიტნოებზე დაწესებულ გადასახადს» ქალაქს ვერ მივცემთო. ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვით, ამგვარ გადასახადიდან უნდა შემოსულიყო 75 ათასი მანათი, სულ კი შემოსულა— 4 ათასი. თავისს გადაწყვეტილების ასასრულებლად გამგეობამ გუბერნატორს სთხოვა, პოლიციის მოხელე გამოგვიგზავნეთო. ქალაქი სასტიკ ზომებს იხმარს სხვა გადასახადთა ასაკრებად, რომელთა გადაუხდელობამაც ისე დაალიერა თურმე ქალაქის კასსა, რომ თავის მოსამსახურეებს მალე ჯამაგირებსაც ველარ მისცემს.

◆ სომხეთა არქიმანდრიტს ზავენს **სომხეთა კათოლიკოსისაგან და კავკასიის შეიხ-ულ-ისლამისგან** შემდეგი დეპეშა მიუღია: „კავკასიის ყველა სომხებისა და მუსულმანების საყურადღებოდ ვაცხადებთ: ეს ოთხი თვეა, რაც ორ ეროვნებათა შორის დამღუპველი შური და მტრობა ჩამოვარდა, ძმათა სისხლი ინთხევა და ათასის წლის მეზობლად მცხოვრებ მკვიდრთ უკიდურესობაში აგდებს, ზნეობრივად ხრწნის და ეკონომიურად ათახსირებს. ჩვენ, მღვდელთ-მთავარნი, წმიდა ეჩმიაწიდან მოვუწოდებთ ჩვენს სამწყსოს და მამაშვილურს დარიგებას ვაძლევთ, ერთხელ და სამუდამოდ დაჰგმონ და უკუაგდონ უაზრო და უსარგებლო შუღლი და მტრობა, ძმურად გაუწოდონ ერთმანეთს ხელი და მშვიდობა და სიყვარული დაამყარონ, რაზედაც ბაქოს ეკლესიებსა და მეჩეთებში შეჰფიცეს ერთმანეთს. მხოლოდ ეს დააყენებს ორსავე ეროვნებას მშვიდობიანის განვითარებისა და წარმატების გზაზე. განამტკიცოს ღმერთმა ეს ფიცი და აღთქმა!.. დეე, სახარება და ყორანი იყოს თქვენ შორის ძმობისა და ერთობის დამამყარებელი. ღვთაებრივმა სიმშვიდემ დაიმკვიდროს თქვენს გულში“.

◆ კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო **როტმისტრს ბ. ს. ესაძეს**, ჟურნალი ,,კავკაზსკი კრაი‘‘ ყოველ-დღიურ გაზეთად გადააკეთოს იმავე პროგრამითა და ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით.

◆ ნაფიც ვექილის თანაშემწემ ლ. ლ. ბახტაძემ შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს ადმინისტრაციის წინაშე, ნება **მისცენ** ქ. ტფილისში, ქართულ ენაზე, **ყოველ-დღიურ გაზეთის ,,ახალ დროების“ გამოცემისა.**

◆ ვაჭრების თხოვნით, ქალაქის მოურავის მოადგილემ ვ. ნ. ჩერქეზიშვილმა იშუამდგომლა გუბერნატორის წინაშე დატუსაღებულ **ნოქრების** განთავისუფლების შესახებ. გუბერნატორმა უპასუხა, რადგან ისინი გამოძიების ქვეშ იმყოფებიან, ვერ გავანთავისუფლებო.

◆ გაზეთ „პ. ვ.“ სიტყვით, ფინანსთა სამინისტრო ახლო მომავალში განიხილავს საკითხს საზღვარ-გარეთიდან შემოსატან **სამეურნეო იარაღებზე ბაჟის დაკლების** შესახებ.

◆ ტფილისის ,,სობრანიეს“ **მოსამსახურენი ხელ-მეორედ გაიფიცნენ**, რადგანაც ბ-ნს ა. ი. ქიშმიშევს მათთვის თავისი დაპირება არ შეუსრულებია.

◆ **ფუნიკულერის მოსამსახურენი გაიფიცნენ**, ფუნიკულერი აღარ მუშაობს.

◆ ქართლ-კახეთის სამღვდელოების-მიერ ამორჩეულმა კომისიამ პეტერბურგისა და ლადოგის მიტროპოლიტს **ანტონის ტელეგრაფით შეატყობინა** 31 მაისს ტფილისის სემინარიაში მომხდარ ინციდენტის დაწვრილებითი ცნობები (ტ. ლ.).

◆ ეპისკოპოსმა კირიონმა, რომელიც ამჟამად ტფილისში იმყოფება, ქართულ ენაზე დაწერილი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიურ შინაარსის 300 **წიგნი შეიძინა და სურს პეტერბურგის სასულიერო აკადემიას შესწიროს.** ამასთანავე საჩუქარი სურს მიართვას კიევის სასულიერო აკადემიასაც (ტ. ლ.).

◆ კავკასიაში მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების ყოფილი მისიონერი, **არქიმანდრიტი დავით კაჭახიძე, ვიტებსკის სასულიერო სემინარიის რექტორად** დაინიშნა.

◆ ხუთშაბათს, 9 ივნისს, ანდრეევის ქუჩაზე, ვიღაც უცნობმა ორ ალაგას დასჭრა რკინის გზის მთავარ სახელოსნოების მეფეჩე პეტრე რიცკი და მიიმალა.

◆ კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება დართო კავკასიის სცენაზე ქართულად შემდეგ პიესების წარმოდგენისა: 1) „ჩვენი ცხოვრების სურათები“, სამ მოქმედებად, ნ. თავდგირიძისა, 2) „მეც ადამიანი ვარ“, ტრაგედია 5 მოქმედებად, დიმ. მგელაძისა, 3) „აღსდგა მკვდრეთით!“ ანუ „მარუჩა“, ისტორიული დრამა 3 მოქმედებად, ბ—ლისა, 4) „ომი ინგლისელებისა ბურებთან“, ფარსი 1 მოქმედებად ა. ზ. სერპოლეტისა, გადმოკეთებული შ. საფაროვის-მიერ, და 5) „ფანტაზია“, სცენა 1 მოქმედებად, ანეტა კაპანაძისა.

ალექსანდრე გრიგოლის ძე წულუკიძე

(ნეკროლოგი)

ამ გამწვავებულ დროს, როდესაც თითოეულის მებრძოლის სიცოცხლე და მოქმედება უძვირფასესია ქვეყნისთვის, დაუნდობელმა სიკვდილმა წუთი-სოფელს გამოასალმა ჯერედ სრულიად ახალგაზდა, ცხოვრების სიავესთან მებრძოლი— ალექსანდრე წულუკიძე.

ალექსანდრე ხალხის შვილი იყო და ამ ხალხის საკეთილდღეოდ სთესდა იმ აზრებს, რომლებმაც დღეს ასეთი დიდი ნაყოფი გამოიღო. ხალხი გამოფხიზლდა და ალექსანდრეს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა: დღეს თუ ხვალ მონობის ბორკილი დაიმსხვრევა და, რაც ვთესე, მოვიმკიო! მაგრამ ბედმა უმუხთლა! მას აღარ ეღირსა ის, რასაცა ასე გულის ფანცქალით მოელოდა!

ალექსანდრე წულუკიძე დაიბადა 1876 წელს. პირველი სწავლა ქუთაისის პროგიმნაზიაში მიიღო. პროგიმნაზიის გათავების შემდეგ, გადავიდა გიმნაზიის მეხუთე კლასში, მაგრამ აქაური რეჟიმი ვერ აიტანა და იმავე წელს თავი მიანება. 2 წლის შემდეგ ქუთაისში შესდგა ახალგაზდათა ჯგუფი, რომელშიაც ალექსანდრემ აქტიური მოქმედება დაიწყო.

1897 წელს ალექსანდრე გაემგზავრა მოსკოვში სოციალ-ეკონომიურ საგნების შესასწავლად. ორის წლის შემდეგ იქიდან დაბრუნდა სამშობლოში და აქ იწყო მუშაობა.

იგი მუშაობდა არა მარტო პრაქტიკულად ცხოვრებაში, არამედ წერითაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში: თანამშრომლობდა ჯერ „კვალში“ და შემდეგ „მოგზაურში“. ორი მისი ნაწარმოემოები ცალკე წიგნაკებადაც დაიბეჭდა: „ოცნება და სინამდვილე“ და „ნაწყვეტები პოლიტიკურ ეკონომიიდან“.

ულმობელმა სენმა—ჭლექმა—არ დააცალა და უდროვოდ მოუღო ბოლო ამ კარგის მისწრაფებით აღჭურვილ ახალგაზდას.

მცირე შენიშვნა

ამჟამად დიდი მითქმა-მოთქმაა ჩვენი საშუალო სასწავლებლის—სათავად-აზნაურო სკოლის რეორგანიზაციის შესახებ. ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში ბევრი საგულისხმიერო წერილი დაიბეჭდა. გამოცხადდა აგრეთვე სკოლის მასწავლებლების «დეკლარაციაც». ყველა ეს სასიამოვნოა; ყველა ეს მოწმობს, რომ ჩვენც ვცდილობთ ბიუროკრატიულ საფუძველზე დამყარებული სამოსწავლო გეგმა და სკოლა შევცვალოთ ცხოველმყოფელი და ნაყოფიერ წეს-რიგით.

ჩვენის მხრით, არ შეგვიძლიან არ მივუთითოთ იმათ, ვისაც აბარია ამჟამად ჩვენის სასწავლებლის სვე-ბედი, ერთს საგანზე. ჩვენ ძალიან დიდ შეცდომად მიგვაჩნია, რომ აქამდის ვერ შევიტანეთ ჩვენის სასწავლებლის სამოსწავლო პროგრამაში აქაურ ენების—თათრულისა და სომხურის შესწავლა.

აბა, მკითხველმა მარტო ის წარმოიდგინოს, თუ რაოდენს სარგებლობას მოგვიტანდა ამ ენების ცოდნა ამ დროს, როდესაც ასე დიდად საჭიროა სხვადასხვა ერთა შეთანხმებული მოქმედება უკეთეს წესწყობილების დასამყარებლად. ეს ცოდნა ძალიან დაგვეხმარებოდა ადგილობრივ ერებთან დაახლოვებასა და ერთმანეთს შორის თანხმობის ჩამოგდებაში. ადვილად გავუზიარებდით პირდაპირ გულახდილად ჩვენს გულის პასუხს, ჩვენს გულის ნადებს თათარსა, სომეხს. ბევრი რამ ჩვენსა და სხვის ცხოვრებაში არ დაიმალებოდა, რადგანაც შეგვეძლო უმაშუალოდ, უთარჯიმანოდ გვემოქმედნა. მაშინ ყველა აშკარად დაინახავდა, თუ რაოდენ გულწრფელად მოქმედობენ კავკასიის ერების საზოგადო მოღვაწენი. მაშინ სულ სხვა გვარად მოეწყობოდა ჩვენი ურთიერთობა, ჩვენი მომავალი...

თორემ ახლა, თვით ჩვენის გაზეთების რედაქციებიც დაგვემოწმებიან, საშინელი ზღუდე არის ამართული ჩვენსა და ამ კავკასიის ორ ერთა შორის. ჩვენ თითქმის არა ვიცით-რა, რა ხდება თათრულსა და სომხურს ჟურნალ-გაზეთობასა და ცხოვრებაში. თუ არ ისევ მაჰმადიანი ან რომელიმე სომეხი, ქართულის მცოდნე, ჩვენ ვერც კი მოვახერხებდით თათრულის თუ სომხურის თანამედროვე მწერლობიდან რაიმე ნაწარმოების გადმოთარგმნას და დაბეჭდვას. ასეთი მდგომარეობა კი უფრო ამწვავებს ურთიერთობას, ჰბადებს გაუგებრობას და ხელს უწყობს საზარალო განცალკევებას.

ჩვენ მხოლოდ ოდნავ აღვნიშნეთ ეს საგანი. სკოლის მესვეურნი მოვალენი არიან ჩაუკვირდნენ ამას და დაწვრილებითა და საბუთიანად განიხილონ.

იმედი გვაქვს, ისინი ამ საქმეში მეთაურობას იკისრებენ და აქ აღნიშნულ საჭიროებას როგორმე მოაგვარებენ.

გრ. დიასამიძე.

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება

(10 მაისი)

თავმჯდომარე თავ. ა. ჯამბაკურ-ორბელიანმა კრება დაიწყო შემდეგის სიტყვებით: გუშინდელ ინციდენტის ბრალს, რომელიც აქ, კრებაზე, მოხდა, მთლიანად მე ვიღებ ჩემს თავზე,—ალბად არა მცოდნია, ორატორი როდის, რა სიტყვაზე გავაჩერო და ლაპარაკის ნება აღარ მივსცე. ძალიან ვწუხვარ და ბოდიშს ვითხოვ თელავის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლ თავ. ნ. ზ. ჩოლოყაშვილთან. ამასთან ვსთხოვ ორატორებს, თავი შეიკავონ და ლაპარაკში ისეთი სიტყვები არ გაურიონ, რომელიც ვისმე შეურაცხჰყოფს, ან საქმეს გაამწვავებს“. ამ სიტყვების შემდეგ კრება შეუდგა მორიგის საქმეების განხილვას. წაკითხულ იქმნა წინა დღის კრების ოქმი. ოქმის შესახებ **თავ. დ. გ. ჯორჯაძე** შენიშნავს, რომ კრებას ოქმებზე ჯერ ხელს აწერინებენ და შინაარს შემდეგ სწერენ. ამგვარად ჩვენ მეორე დღეს აღარ შეგვიძლიან ოქმი შევასწოროთო. ვსთხოვ თავმჯდომარეს, ოქმები ჯერ შეადგინონ და ხელი შემდეგ მოგვაწერინეთო. **თავ. ა. რ. ვახვახიშვილი**. არის თურმე ისეთი პროექტი, მიღებული და დამტკიცებული თავად-აზნაურთა კრების-მიერ, რომელშიაც ნათლადა სჩანს, რაგვარად უნდა დანაწილდეს სამეურნეო თანხა, ვის რა მიეცეს და როგორ მიეცეს. ჩვენ კი ამ პროექტის არსებობაზე არაფერი არა ვიცოდით-რა და ეს ოთხი დღე ჩვენებურად ვსწყვეტთ საქმეებს. მიკვირს ძალიან, რომ კოლლეგიამ იცოდა არსებობა ამ პროექტისა და ჩვენ კი ამის შესახებ არაფერი გვითხრა. მაშინ აღარც დროს დავკარგავდით და ამა თუ იმ საკითხის გარდაწყვეტა სულაც არ გაგვიჭირდებოდა. საქმე გარდაწყვეტილია, ახლა ველარაფერს ვერ ვუშველით, მხოლოდ მე გთხოვთ—ოქმში შეიტანოთ, რომ გორის სინდიკატს მიეცა სესხად 10 ათასი მანათი, თანახმად ამ პროექტისა.

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი უპასუხებს, რომ ეს პროექტი დამტკიცებულია 1903 წელს, მაისში, მაგრამ ჯერ ამითი თავად-აზნაურობა ვერ ხელმძღვანელობს; მაინც ეს გარემოება ჩვენ ხელს არ გვიშლის, რადგან ამ პროექტით ჩვენ შეგვიძლიან, სამეურნეო თანხიდან გავსცეთ ფული სესხად სამეურნეო სხვადასხვა საჭიროებებისათვის. **თავ. ა. ნ. დიასამიძე** წინააღმდეგი არ არის, რომ ვისმე დახმარება გაუწიონ, მაგრამ საქმე იმაშია, რანაირად აღმოაჩინონ ეს დახმარება. მისი აზრით, სამეურნეო თანხის ხელის ხლება არ შეიძლება,—ჩვენ ისეთ დროში ვართ, რომ შეიძლება ხვალ უარესი დღე დაგვიდგესო. აგრარული მოძრაობა, შეიძლება, მერმისსაც გაგრძელდეს, თავად-აზნაურობამ კიდევ ვერ შესძლოს ბანკებში სარგებლის შეტანა და ჩვენის მხრივ ისევ დახმარება დასჭირდესო. **თავ. გ. ი. თარხნიშვილი:** იმ თხოვნაში, რომელიც აქ გუშინ წავიკითხეთ და რომელშიაც მოხსენებულია, რომ გორის თავად-აზნაურობას სჭირდება 20 ათასი მანათი დაცემულ მეურნეობის აღსადგენად, ნათლად არ არის გამოხატული ის მიზანი, რისთვისაც ისინი ამ ფულს თხოულობენ. საზოგადოებაში ხმა გავრცელდა, ვითომ ეს ფული უნდოდეთ რაღაც ,,მილიციის‘‘ შესაიარაღებლად. ეს ტყუილია. ეს უნდათ მუშათა არტელისთვის და ამ სიმპატიურ საქმეს დახმარება უნდა გავუწიოთ. **თავ. დ. გ. ჯორჯაძე:** დახმარებაზე მე პრინციპიალურად მინდოდა მელაპარაკნა, მაგრამ ამას თავს დავანებებ და თავ. თარხნიშვილის სიტყვებს მივუბრუნდები. ჩვენ გვეუბნებიან, ეს მიზანი სიმპატიურია, თხოვნაში კი ამაზე არაფერია ნათქვამი. ჩემის აზრით, გორის თავად-აზნაურთ თუ საქმე უნდოდათ გაეკეთებინათ, თავიანთ თხოვნაში უნდა მოეყვანათ საბუთები და თავისი სურვილი ნათლად გამოეცხადებინათ. აქ კი სულ სხვასა ვხედავთ.

მ. ა. გედევანიშვილი. ეს რამდენიმე დღეა, ამ კრებას ვესწრები და ყოველთვის განცვიფრებული ვრჩები. ფაქტები არეულია და დამახინჯებული, გარკვევით არ ვიცით, ვის რას ვაძლევთ. ყველა ეს იმიტომ ხდება, რომ თავ-გზა აგვირიონ. ჩვენ წაგვიკითხეს თხოვნა, რითიც თხოულობენ 20 ათას მანათს. როგორც ხედავთ, დიდი ფულია, უნდა ვიცოდეთ, რისთვის უნდათ ეს ფული. თხოვნაში გუშინ ერთი იყო, დღეს სულ სხვა გვესმის. ალბად, გუშინ შეატყეს საქმეს, რომ ცუდად იყო იგი, საზოგადოება არ თანაუგრძნობდა, და დღეს თხოვნა შეცვალეს, დღეს წამოგვიყენეს სიმპატიური იდეა. აქ, როგორც თავ. თარხნიშვილმა ბრძანა, ბევრს ეჭვი აქვს, რომ ეს ფული „მილიციისთვის“ უნდათო. მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ საქმის მეთაურნი არ ინებებენ—ამ ფულს არა სასურველი დანიშნულება მისცენ, მაგრამ ჩვენ უნდა ვიწამოთ მათი გულწრფელობა, უნდა ვიცოდეთ, რაში წავა ეს ფული? როდესაც შესდგა ეს ,,მილიცია‘‘, ჩვენ არა გვკითხეს, შეიარაღებასა და ორგანიზაციაში დიდი ენერგია გამოიჩინეს და ახლა გვეუბნებიან, 20 ათასი მანათი მოგვეცითო. ორატორს თავმჯდომარე აჩერებს და ამბობს, რომ თხოვნაში ამ საგანზე ლაპარაკი არაა და საქმეს დაუბრუნდითო. **მ. ა. გედევანიშვილი.** თუ არტელზე არ არის ლაპარაკი, გავჩუმდები.

მ. ვ. მაჩაბელი თავად-აზნაურობა უკიდურეს მდგომარეობაში იმყოფება, მას დახმარება სჭირია. რანაირად დავეხმაროთ, ეს სხვა საკითხია.

დ. ე. ჩოლოყაშვილი. ექიმი გედევანიშვილი კოლეგიას გვისაყვედურებს. რაც თხოვნა დეპუტატთა საკრებულოში მისდით, რატომ არ განიხილავენ და თავის აზრს არ გამოსთქვამენო. ეს თხოვნა, დიდიხანი არ არის, რაც მივიღეთ. 4 ივნისს ჩვენ განვიხილეთ ეს თხოვნა და დავადგინეთ, წარვუდგინოთ საგანგებო კრებას.

თავ. გ. ნ. დიასამიძე. მე, როგორც გორის მაზრის დეპუტატი, არ დავსწრებივარ ამ კრებას. რატომ არ შეგვატყობინეთ?

თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი. არ ვიცი რატომ არ დაესწარით. პირადად მე იმ აზრისა ვარ, რომ ამ თანხას ხელი არ უნდა ვახლოთ, ჩვენა გვაქვს 114 ათასი მანათი. სათავად-აზნაურო სკოლა თხოულობს 91 ათასს, ჩვენ კი შეგვიძლიან მხოლოდ მივცეთ—76 ათასი. ახალ სტიპენდიანტებს ვერაფერს ვერ ვაძლევთ და სხვა. მე გირჩევთ, სამეურნეო თანხას ხელს ნუ ახლებთ და საზოგადოდ ამ თანხას ფრთხილად მოექცეთ.

თავ. ს. რ. ვახვახიშვილი იმ აზრისაა, რომ ამ თანხიდან დახმარება უნდა მიეცეს საერთო საქმეს, მაგ., როგორც გორის სინდიკატს. ეს თხოვნა კი კერძო პირებისაა, უნდა გაარჩიოს კომისიამ და, თუ საჭიროდ იცნობს, დაეხმაროს.

მ. ვ. მაჩაბელი, აქ ამბობენ, ეს თხოვნა კერძო პირებისაო. ეს ტყუილია. თუ არა ვცდები, ამ თხოვნაზე ხელი უწერია თავ. გიორგი ამილახვარს, რომელსაც თუმცა ზარალი მოუვიდა, მაგრამ ის ამ ფულიდან ერთი კაპეიკით არ ისარგებლებს. ვინ შეადგინა ეს თხოვნა—არ ვიცი*). ეს კი ვიცი, რომ მიზანი, რისთვისაც ამ ფულს თხოულობენ, ღირსია ყურადღებისა. გორის მაზრაში შესდგა თავად-აზნაურთა მილიცია. მე თვითონ იმ აზრისა ვარ, რომ ეს მილიცია ქართლის ბედს ვერ გაასწორებს. იარაღით ის ეკონომიურ საკითხებს ვერ გადასწყვეტს. იარაღი საჭირო არაა და არც ხმარობენ, მაგ., გაიელის სოფელში 200—300 შეიარაღებული ყმაწვილი, ჰხედავს მის ადგილებს გლეხები ნებადაურთველად ხნავენ, გლეხკაცებს სალამს აძლევენ—გამარჯვება თქვენი, გლეხები ხმას არა სცემენ. ისინი შეიარაღდნენ მხოლოდ იმიტომ რომ, თავიანთი ოჯახობა დაიცვან ამოხოცვისა, გადაწვისა და შეურაცხყოფისაგან. ბატონებო, გორის მაზრაში 5—6 ათასი კომლია თავად-აზნაურთა, რომელნიც გლეხ-კაცების-მიერ დამუშავებულ მიწების ღალებით ხცოვრობდნენ. კახეთში სხვაა—იქ ვენახებია, რომელიც, ასე თუ ისე, შეუძლიანთ დაიმუშაონ. ეს მიწები გორის მაზრაში ახლა გლეხებს უჭირავთ და მემამულეთ არაფერს აძლევენ, მაგრამ, ამის-და მიუხედავად, თავად-აზნაურობას არავითარი ძალა არ უხმარია და არც მთავრობისთვის მიუმართავს. ბევრი მემამულე თვითონ მუშაობს, ხელის დაბანვა და იმის თქმა, თავში ქვა უხლიათ ერთსაც და მეორე მხარესაცაო, ჩვენ არ შეგვეფერება. ახლა გორის მაზრაში სდგება მუშათა არტელი, რომელიც დაამშვიდებს როგორც მემამულეთ, ისე გლეხებს და, ამ საქმისთვის რომ 20 ათასი მანათი გადავდოთ, მომაკვდინებელ ცოდოდ არ ჩაგვეთვლება. **თავ. გიორგი ამილახვარი.** რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს ქართლი, ეს ყველამ კარგად იცის. ფრაზების სროლა კარგია, მაგრამ ამოდენა ხალხს რას გვიპირობთ, უნდა დავიხოცნეთ რაღა? წაგვართვეს მინდორი, ტყე, ველი, ოქმებს არ ვადგენთ, არ ვჩივით. რომ შევიტანოთ განცხადება მაზრის უფროსთან, ამა და ამ სოფელმა მინდორი გადამიხნა, ტყე გამიჩეხაო, მაშინვე 100 კაზაკს გამოგზავნის და ზარალი, რამდენიც უნდა დავასახელოთ, თუმნის მაგივრად, ხუთასი თუმანი, ცემა-ტყეპით გადაახდევინებს. არა გჯერათ ესა? აი, მე ხვალვე ვიზამ ამ საქმეს, ხოლო ამას რა შედეგიც მოჰყვება—თქვენ იდეთ თავზე, რომ ბრალი დამედოს, მაგრამ ჩვენ ამას არ ჩავდივართ. ჩვენ 500-600 კაცი—ყაჩაღები ვართ, თქვენ კი 50-60 კაცი ანგელოზები. დამეთანხმეთ, რომ ეს შეუძლებელი საქმეა. ნუ თუ ჩვენში არც ერთი ანგელოზი არ ურევია და თქვენში არც ერთი ყაჩაღი! **თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი** განმარტავს თავ. ამილახვრის სიტყვებს და ამბობს, რომ ეს სტიქიური მოვლენაა და საქმეს დახმარება სჭირია. ეს საკითხი, მისი აზრით, კომისიამ უნდა გაარჩიოს. გამწვავებულ კამათის შემდეგ კრებამ შეიმუშავა საკითხის ორი ფორმულიროვკა. ერთი მათგანი ეკუთვნის პ. ი. ყიფიანს, მეორე—ი. ს. ჯაბადარს. პირველი შემდეგი შინაარსისაა:

ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებამ დაადგინა—გაუწიოს დახმარება ტფილისის გუბერნიის დაზარალებულ მემამულეთ და მიწის მუშათ სამეურნეო თანხიდან, მაგრამ, რადგან ჯერ ხარჯთ-აღრიცხვა განხილული არ არის და არ არის გამორკვეული, რა დარჩება ამ თანხიდან, ეს საკითხი გადიდოს ხარჯთ-აღრიცხვისა და დანარჩენ საქმეების განხილვამდე. მეორე—კრებამ დაადგინა: 1) აუცილებლად საჭიროა გლეხთა მოძრაობის გამო დაზარალებულთ აღმოეჩინოთ დახმარება სამეურნეო თანხიდან, როგორც მემამულეთ, ისე მიწის მუშათ. 2) მიეცეს წინამძღოლებს და თავად-აზნაურთა დეპუტატებს სამეურნეო თანხიდან გადარჩენილი ფული, რომელიც თავის მიხედვით მაზრებზე გაანაწილონ. ამასთან მათ შეუძლიანთ მოიწვიონ ყოველ მხრიდან თავად-აზნაურთა წარმომადგენელნი და 3) გადადებულ ფულის დანაწილების შესახებ საკითხი უნდა გადასწყვიტოს

ბის გუდა ბეჩავ სიტყვებით უფრო მდიდარი იყო, ვიდრე რომელიმე სამიკიტნო ბუზნაკლა-მწერებით.

მუდამ მჭევრმეტყველურად, გაჭიანურებით ლაპარაკობს. ზოგჯერ, სადმე ქორწილში მის დასაჩუმებლად პოლიციას იწვევენ ხოლმე.

— ძამიავ, მე შენ დაგეძებ!—დაიწყო პოპლავსკიმ.—აბა, ჩაიცვი და გავსწიოთ. ერთი ჩვენიანი გადაიცვალა და გამოსამშვიდობებელი სისულელე რამ უნდა შეხანხლო. შენზედაა მთელი იმედი. ვიგინდარას გამო როდი შეგაწუხებდი, მაგრამ ის მდივანია... კანცელარიის დედა-ბოძი. „ურეჩოდ“ დამარხვა არ ეკადრება.

— ააა, მდივანი! მთქნარებით წარმოსთქვა ზაპოიკინმა,—ააა, ის ლოთი!..

— ჰო, ის. ბლინებიც იქნება... საუზმე... ეტლის ფულსაც მოგცემენ. აბა, სულიკო, წავიდეთ! ერთი შენებური, ციცერონული აბდა-უბდა გააბი... დიდ მადლობასაც მიიღებ!

ზაპოიკინი სიამოვნებით დასთანხმდა. თმები აიბურძგნა, დაღვრემილი სახე მიიღო და ქუჩაში გამოვიდნენ.

— ვიცნობდი თქვენს მდივანს,—სთქვა და ეტლში ჩაჯდა.—ღმერთმა აცხონოს, ისეთი გაქნილი და გაიძვერა კი იყო, რომ...

— კარგია ერთი, გრიშა, მიცვალებულის გინება როდი ვარგა.

— მართალია, aut mortus nihil bene, მაგრამ გაიძვერა კი იყო. პროცესიას წამოეწივნენ და შეუერთდნენ. პროცესია ნელა მიდიოდა, მეგობრებმა სამჯერ მოასწრეს სამიკიტნოში შერბენა და მიცვალებულის მოსახსენებლად პილატეს ცრემლის გადახუხვა.

სასაფლაოზე პანაშვიდი გადაიხადეს. სიდედრი, ცოლი და ცოლის და ბევრსა სტიროდნენ. კუბო სასაფლაოში ჩაუშვეს. ცოლმა შეჰკივლა: „გამიშვით, მეც მასთან დავიმარხოო“!.. საფლავში კი აღარ ჩაჰყოლია ქმარს, ალბად, პენსია მოაგონდა. სიჩუმე ჩამოვარდა. ზაპოიკინი წინ წარმოდგა, თვალი მიმოავლო გარშემო და დაიწყო:

— ამას რას ხედავს ჩემი თვალები? რა ესმის ჩემს ყურებს? ნუ თუ საზარელი სიზმარი არ არის ეს კუბო, ეს მტირალი სახეები, ეს ოხვრა და ქვითინი? ვაი, რომ სიზმარი არ არის და მხედველობა არ გვატყუებს! ის, ვინც ამ რამდენისამე ხნის წინად, ესოდენი მხნე, ვაჟკაცი, ჯანით სავსე და უმანკო იყო, ის, ვისაც დაუღალავ ფუტკარივით თავისი წვლილი სახელმწიფო წესიერ წყობილების სალაროში შეჰქონდა, ის, ვინც... სწორედ ის ახლა მტვრად, უძრავად ძევს ჩვენ წინ, ნივთიერ მოჩვენებად ქცეულა!.. სიკვდილმა ჩასჭიდა მას თვისი ულმობელი ბრჭყალები იმ დროს, როცა მიუხედავად წელთა სიმრავლისა, ჯერ კიდევ სავსებით ყვაოდა მასში ძალ-ღონე და შუქ-მფინავი იმედები. უბადლო დანაკლისია!.. ვინ გაგვიწევს მის მაგივრობას? მართალია, კარგი მოხელეები ბლომათა გვყავს, მაგრამ პროკოფი ოსიპის ძე სამაგალითო რამ იყო! გულის სიღრმემდის გამსჭვალული იყო თავის პატიოსანი მოვალეობით, არ ზოგავდა ჯანს, დღესა და ღამეს ასწორებდა, უანგარო და მოუსყიდველი იყო. სძაგდა ისინი, ვინც საზოგადო ინტერესების საზარალოდ მის მოსყიდვას ცდილობდა, ვინც, ცხოვრების მაცდურ სიტკბოებით გატაცებული, მისს მოვალეობის მოღალატედ გარდაქმნას ლამობდა. დიაღ, პროკოფი ოსიპის ძე, ჩვენ თვალწინ, თავის მცირე ჯამაგირს ღარიბს ამხანაგებს ურიგებდა. თქვენ გესმით აქ იმ ქვრივ-ობოლთა მოთქმა-გოდება, რომელთაც ის ცხოვრების სახსარს აძლევდა!

სამსახურის მოვალეობით და ქველ-მოქმედობით გამსჭვალულმა, არ იცოდა, რა იყო სიხარული ცხოვრებაში. ოჯახური ბედნიერებაც კი უარჰყო ამისთვის! თქვენ იცით, რომ ის, უკანასკნელ წუთამდე, უცოლ-შვილოდ დარჩა!

ვინ შეგვინაცვლებს მას, როგორც ამხანაგს? თვალწინ მიდგია მისი მოპარსული, ლმობიერი მოღიმარი სახე; თითქო ახლაც მესმის მისი ნაზი, საამო, მეგობრული კილო!.. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, პროკოფი ოსიპის ძევ! წიაღთა შინა აბრამისათა, განისვენე, პატიოსანო, კეთილშობილო, მუშაკო!

ზაპოიკინი არა სცხრებოდა. მსმენელთ ჩურჩული შექმნეს. სიტყვა ყველას მოეწონა, ბევრმა ცრემლებიც დაღვარა, მაგრამ ბევრი რამ ვერ გაეგოთ. გაუგებარი იყო, ორატორი რად იხსენიებდა მიცვალებულს, პროკოფი ოსიპის ძედ, როცა ის კირილე ივანეს ძე იყო. მეორეც, ყველამ კარგად იცოდა, რომ განსვენებული, მთელ სიცოცხლეში, თავის კანონიერ ცოლს ემებოდა და უცოლშვილო საიდან იქნებოდა. მესამედ, მას ხშირი ქერა წვერი ჰქონდა და თავის დღეში პირი არ მოუპარსავს, ამიტომ ვერ გაიგეს, რისთვის უწოდა ორატორმა მოპარსული.

მაყურებელნი ერთი-მეორეს გაოცებით შესცქეროდნენ და მხრებს იწევდნენ.

— პროკოფი ოსიპის ძევ!—განაგრძობდა ორატორი და საფლავში ჩასცქეროდა. თუმცა შენ ულამაზო, თითქმის მახინჯიც იყავ, დაღვრემილი და პირ-ქუში, მაგრამ ყველამ კარგად ვიცოდით, რომ ეს მხოლოდ გარეგნობა იყო და შენში პატიოსანი და მეგობრული გული სძგერდა!

მსმენელებმა ორატორსაც რაღაც უცნაურობა შეამჩნიეს: ერთს წერტილს მისჩერებოდა, მოუსვენრად ცქმუტავდა და ისიც მხრებს იჩმუჩნიდა. უცებ დადუმდა, პირდაღებული მიუბრუნდა პოპლავსკის:

— გამიგონე, ის ცოცხალია!

— ვინაა ცოცხალი?

— ვინა და პროკოფი ოსიპისძე! აგერ სდგას, ძეგლთან.

— ის არც გარდაცვლილა! გარდაიცვალა კირილე ივანეს ძე!

— შენ არ მითხარი, ჩვენი მდივანი გარდაიცვალაო!

— ჰო და, კირილე ივანეს ძე იყო მდივნად, შენ აგერია, სულელო!.. პროკოფი ოსიპის ძე, მართალია, მდივნად ჩვენთან იყო, მაგრამ ამ ორი წლის წინად საქმის მწარმოებლად გადაიყვანეს მეორე განყოფილებაში.

— ოჰ, დაგლახვრათ ღმერთმა!..

— რას გაჩერდი? განაგრძე, სირცხვილია!.. ზაპოიკინი ისევ საფლავისკენ მიბრუნდა და თავისებურ მჭევრმეტყველებით განაგრძო. მის პირდაპირ, ძეგლთან კი, მართლაც, პირ-მოპარსული პროკოფი ოსიპის ძე იდგა და ბღვერით შესცქეროდა ორატორს.

— არა, საიდან მოჩმახე?!—იცინოდნენ მოხელეები, როცა სასაფლაოდან ზაპოიკინთან ერთად გამობრუნდნენ.—ცოცხალი კაცი დამარხე!

— კარგი არ არის, ყმაწვილო,—უსაყვედურებდა პროკოფი ოსიპის ძე,—თქვენი სიტყვა, შეიძლება, მიცვალებულისათვის შესაფერი იყოს, მაგრამ ცოცხლისათვის კი დაცინვაა!..

— აბა ერთი დაფიქრდით, რაებს ამბობდით? უანგარო, მოუსყიდველი, ქრთამის წინააღმდეგიაო! ამაებს ხომ ცოცხლებზე მხოლოდ დაცინვით იტყვიან. გარდა ამისა, მოწყალეო ხელმწიფევ, ვინ დაგავალათ ჩემს პირის სახეზე ლაპარაკი: ულამაზოა, მახინჯია... თუნდაც ასე იყოს, საქვეყნოდ რად უნდა გახადოთ ჩემი სახე! საწყენია, მეტად საწყენია!...

მიტო მაკ-თელი

---

*) ამ თხოვნაზე ხელი უწერიათ შემდეგ პირებს: თავ. გიორგი ოთარის ძეს ამილახვარს, თავ. შალვა ავალიშვილს, თავ. დიმიტრი დავითის ძეს ციციშვილს, თავ. ვლადიმერ გრიგოლის ძეს ციციშვილს, თავ. ლუარსაბ დიმიტრის ძეს ფალავანდიშვილს, ალექსანდრე კვალიაშვილს, გიორგი თურქესტანიშვილს, თავ. ეფრემ ავალიშვილს, თავ. როსტომ ფალავანდიშვილს, თავ. ასლან ფალავანდიშვილს, თავ. ნიკოლოზ ივანეს ძეს ფალავანდიშვილს, თავ. კონსტანტინე ივანეს ძეს ციციშვილს, თავ. ლევან ამირეჯიბს, თავ. არჩილ დავითის ძეს ციციშვილს, თავ. ივანე გიორგის ძეს ავალიშვილს, თავ. ნიკოლოზ დავითის ძეს ციციშვილს, თავ. გიორგი იოსების ძეს მამაცაშვილს და გიორგი ხმალაძეს.

მაზრის საგანგებო კომისიამ. ამ ორს საკითხის ფორმულიროვკას უყარეს კენჭი და მეორე ი. ს. ჯაბადარის ფორმულიროვკა კრებამ მიიღო 31 ხმის უმეტესობით—19-ს წინააღმდეგ.

პრესსა

„მოსკ. ვედ.“—როცა გაუჭირდება—ისტორიასაც გადასწვდება ხოლმე. „პატრიოტულ“ გაზეთის აზრით,

> ალელვებული ხალხი დათმობას არას დროს არ დაუმშვიდებია. დათმობა რევოლუციონერებს უფრო აღფრთოვანებდა და გამარჯვების იმედს აძლევდა. დათმობის შემდეგ ისინი ყვიროდნენ: გვიანღაა! გვიანღაა!—და უფრო მეტსა და მეტს თხოულობდნენ.

გაზეთი იწყებს 1848 წლის მაგალითს პრუსსიისა და ავსტრიის ისტორიიდან. სამაგიეროდ, სრულ სიმართლეს ამბობს რუსეთის თანამედროვე მოძრაობის შესახებ:

> სიპიაგინისა და პლევეს დროს ლიბერალები ძალიან ცოტას თხოულობდნენ: წვრილ საერობო ერთეულს, სახელმწიფო საქმეებზე ლაპარაკის უფლებას, სრულიად-რუსეთის ერობის კრებასა და სხ.
>
> დაიწყო „გაზაფხული“ სვიატოპოლკ-მირსკისა. ერობამაც თავი წამოჰყო და, საერობო ერთეულის მაგივრად, 6 ნოემბერს კონსტიტუცია მოითხოვა.

12 დეკემბერს მთავრობამ განაცხადა, საზოგადოებას მეტის ნდობით მოვეპყრობი და მეტ უფლებებს მივანიჭებო, მაგრამ

> საზოგადოება ამ დაპირებას ყვირილით მიეგება: გვიანღაა! გვიანღა! ეგ არა კმარა! ახლა ჩვენ მეტი გვინდაო!

მერე საერო კრების შესახებ დაიწყეს „ჩხავილი“,

> მაგრამ აღმოჩნდა თუ არა, რომ მთავრობა საერო კრებასაც დაუთმობს, ლიბერალებმა ერთი აყალ-მაყალი ასტეხეს: გვიანღაა! გვიანღა!
>
> სარევოლუციო დასები აღზდგნენ და მთელს რუსეთს ცეცხლი მოსდეს; რუსეთი ყვიროდა: არ გვინდა საერო კრება! მოგვეცით დამფუძნებელი კრება, ჩვენ მხოლოდ ეგ დაგვამშვიდებს და სხვა არაფერიო...

გამოცხადდა 18 თებერვლის რესკრიპტი. ლიბერალებს გაუხარდათ, ტაშს უკრავდნენ, მაგრამ ეს სიხარული მეორე დღესვე დაავიწყდათ და მოროეს ყვირილი: კონსტიტუცია, კონსტიტუცია გვინდაო! ისე ჩანდა, თითქო რუსეთის «სარევოლუციო ინტელიგენციის» უკანასკნელი სურვილი კონსტიტუცია იყოო,

> მაგრამ, არა! პიროგოვის უკანასკნელ კრებაზე სამი ათასი კაცი ქუხდა: „ძირს...! გაუმარჯოს რესპუბლიკას!

მაგრამ წარმოიდგინეთ, არც ეს ყოფილა «სარევოლუციო ინტელიგენციის» უკანასკნელი სურვილი; რესპუბლიკანელები უბრალო რესპუბლიკითაც არ დაკმაყოფილდნენ

> და სოციალისტური რესპუბლიკა მოითხოვეს: მიწის ნაციონალიზაცია, ჯარის გაუქმება, ქარხნების ექსპროპრიაცია და სხ., და სხ.

გაზეთი კითხულობს, განა ამის შემდეგ შეიძლება მთავრობისა და ხალხის მორიგებაო? და თვითონვე იძლევა პასუხს: არა, არ შეიძლებაო!

დასასრულ, გაზეთი სამხედრო დიქტატურასა და «სარევოლუციო ინტელიგენციის» განადგურებას თხოულობს:

რუსეთი

ბრესტ-ლიტოვსკში ებრაელების აკლების დროს **სალდათებმა მოჰკლეს 10 და დაჰჭრეს 40 ებრაელი.** აკლებაში მონაწილეობას იღებდა 2000-მდე სალდათი (ნ. ჟ.).

◆ ივნისის შუა რიცხვებში მოსკოვში **მოხდება კრება** გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებისა, რომელნიც სრულიად-რუსეთის თავად-აზნაურთა ორგანიზაციას უნდა შეუერთდნენ („ნოვოსტი“).

◆ ვორონეჟის გუბერნიაში ხელმეორედ **დაიწყო გლეხთა მოძრაობა.** გლეხებმა რამდენიმე მემამულე გადასწვეს. გლეხების დასამშვიდებლად. კაზაკები და სალდათები გაგზავნეს (ნ. ჟ.).

◆ ალექსანდროვსკში ერთი გენერალი ჯარს ათვალიერებდა. ეს ჯარი ბრძოლის ველზე უნდა გაეგზავნათ. გენერალმა ორი ებრაელი შენიშნა. დანარჩენებს ამის გამო სიტყვით მიმართა: „ძმებო!—სთქვა გენერალმა,—გეშინოდეთ ებრაელებისა. ესენი თქვენი მტრები არიან. თვალყური ადევნეთ და ფრთხილად იყავით, თორემ ესენი იაპონელებზე უარესნი არიან“ (ნ. ჟ.).

◆ პიროგოვის საზოგადოების ჟურნალის რედაქტორს, როგორც ისმის, მთავრობა სისხლის სამართალში მიცემას უპირობს იმისთვის, რომ იმან ჟურნალში პიროგოვის კრების რეზოლუცია დაბეჭდა. ამის გამო ამ ჟურნალის რედაქციის წევრებმა გადასწყვიტეს, თუ რედაქტორი მართლა სამართალში მისცეს, ჩვენც წავიდეთ და გამოვუცხადოთ პროკურორს, რომ **სავსებით ვეთანხმებით რეზოლუციას** და, მაშასადამე, ჩვენც უნდა მიგვცენ სამართალშიო. ასეთივე გადაწყვეტილება მიიღეს ექიმთა სხვადასხვა საზოგადოების წევრებმა (ნ. ჟ).

◆ მთავრობამ სისხლის სამართალში მისცა „მოსკ. ნედ.“-ის რედაქტორი, ს. ტრუბეცკოი, რომელმაც თავის ჟურნალში გაბედული წერილი დაბეჭდა. ამ ჟურნალის რედაქციის წევრებმა სთხოვეს პროკურორს, **ჩვენც სამართალში მიგვეცით,** რადგან იმ წერილს ჩვენც ვეთანხმებითო. თუ პროკურორმა მათი თხოვნა არ შეასრულა, ისინი იუსტიციის მინისტრთან აპირობენ ჩივილს (ნ. ჟ.).

◆ ხვალ, 12 ივნისს, მოსკოვში გადაიხდიან პარაკლისს, რომ **ღმერთმა რუსეთს გამარჯვება არგუნოს.** ამ დღისათვის მთელი მოსკოვი ემზადება (რ.).

◆ გუშინდელ ნომერში მოხსენებული გვქონდა, რომ დვინსკში სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა 19 წლის ყმაწვილ კაცს, ვინმე ლეიჩს, რომელსაც ბოქაულის მოკვლა უნდოდა. სასამართლოს თავმჯდომარემ ლეიჩის დამცველ ვექილებს უბრძანა, ეს **დადგენილება რუსეთის გაზეთებს არ შეატყობინოთო.** (ნ. ჟ.).

◆ ლეიჩს გარდა, დვინსკის სამხედრო სასამართლომ უნდა გაარჩიოს **საქმე 16 აგიტატორისა** (ნ. ჟ.).

◆ პოლონეთიდან „ნაშა ჟიზნ“-ს ატყობინებენ: ლეიჩის შესახებ სასამართლოს დადგენილებამ ყველგან დიდი შთაბეჭდილება მოახდინაო. ხალხი ძლიერ აღელვებულია თურმე 19 წლის ლეიჩის საქმით (ნ. ჟ).

◆ **ფინლიანდიელები შეშფოთებულნი არიან** იმის გამო, რომ რუსეთის მთავრობა ფინლიანდიის სათადარიგო თანხის—70 მილიონ მარკის—დახარჯვას აპირობს (ნ. ჟ.).

◆ უფის ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის ერთ მოწაფეს ცოფიანმა ძაღლმა უკბინა. ქალი თავის მოსარჩენად სხვა ქალაქში წავიდა. ამის გამო ქალაქში ხმა გავრცელდა, ქალი პოლიციამ დააპატიმრა, როგორც პოლიტიკური დამნაშავეო. ამ ხმამ გიმნაზიის უფროსამდე მიაღწია. უფროსმა **გამოძიების მოუხდენლად** მოწაფე ქალი გიმნაზიიდან დაითხოვა (ნ. ჟ.).

◆ **სარწმუნოების თავისუფლება.** შინაგან საქმეთა მინისტრი ხერსონის გუბერნატორს შეეკითხა, გამოიძიეთ, როგორ გაიღეს თავიანთი ეკლესიები „სტაროობრიადცებმა“ და როგორ ილოცესო. გუბერნატორმა ეს საქმე ტირასპოლის პოლიცმეისტერს დაავალა. პოლიცმეისტერმა ყველაფერი გამოიძია: „სტაროობრიადცები“ შეჰყარა და ჰკითხა, რა ნება გქონდათ ლოცვისაო, და დაემუქრა, ზარებს ჩამოგიხსნით და სამართალში მიგცემთო. მათ მიუგეს, 17 მაისის უკაზმა ლოცვის ნება მოგვცა და ჩვენც ვილოცეთო. მაგრამ პოლიცმეისტერმა მიუგო, ეგ თავის გამართლება არ არისო, და შემდეგისთვის ლოცვის განმეორება აუკრძალა. ახლა „სტაროობრიადცებმა“ არ იციან, ვის დაუჯერონ: უმაღლეს ბრძანებას თუ პოლიცმეისტერს (რ. ვ.).

◆ რიგა-ორლოვის რკინის გზის მოსამსახურენი გაიფიცნენ. პეტერბურგიდან მოწერილობა მოუვიდათ, 4 დეპუტატი ამოირჩიეთ, აქ გამოგზავნეთ და თქვენი მოთხოვნილებანი გამოატანეთო. იმათაც აირჩიეს 4 კაცი და გაგზავნეს მაგრამ **დეპუტატები დაიკარგნენ** და აღარ ბრუნდებოდნენ. კარგა ხნის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი დეპუტატი ისევ თავის ადგილას დაბრუნდება, დანარჩენები კი ციმბირში გაუგზავნიათ (რ. ვ).

ქალაქის საბჭო

ხუთშაბათს, 9 მაისს, ქალაქის საბჭომ, თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით, განიხილა რამდენიმე საქმე. სხვათა შორის, ხმ. ა. ს. ბაბოვი შეეკითხა გამგეობას, რა მდგომარეობაშია ხორცის საქმე? როგორც მესმის, ყასბები ქალაქში ფარულად ჰკლავენ საქონელსაო. ამაზე თავმჯდომარემ უპასუხა, მართალია, მაგრამ გამგეობა ვერაფერს გახდაო; 3 თუ 4 ყასაბი ჰკლავს საქონელს სასაპნოებში, დანარჩენნი ფარულად ჰკლავენ. გუშინ პოლიციას მივმართეთ, პოლიციამ აღგვითქვა, სასტიკ საშუალებებს მივიღებთო. ხმ. ნ. ხუდადოვი ამბობს, გაზეთში ცნობა ამოვიკითხე, რომ განსვენებულმა მირზოევმა ქალაქს შესწირა 800,000 მანათი ამ 4 წლის წინად, რომლის სარგებლიდგან უნდა იზრდებოდეს 90 სტიპენდიანტი, ჩვენ კი ამ ფულის შესახებ არაფერი არა ვიცით-რა. ვსთხოვთ გამგეობას, აგვიხსნას ეს გარემოება. თავმჯდომარე. აქ ქალაქი არაფერ შუაშია. მართალია, მირზოევმა ეს ფული დასტოვა ანდერძით, მაგრამ, ჯერ ერთი, ეს ფული ბანკშია, ბანკი კი ძალიან დაეცა. მეორეც, ანდერძით ამ ფულის სარგებელს უნდა განაგებდეს მისი ცოლი, ცოლის სიკვდილის შემდეგ მისი ქალი და მხოლოდ ამ ქალის სიკვდილის შემდეგ ეს ფული ქალაქის ხელში გადავაო. გამგეობის წევრი თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი კითხულობს დეპუტაციის მოხსენებას საბჭოს მინდობილობით პეტერბურგში წასვლის შესახებ. ხმ. სულხანიშვილი წინადადებას აძლევს საბჭოს, მადლობა გამოუცხადოს დეპუტაციას, რადგანაც მას ისეთი საქმე ჰქონდა მინდობილი, რომ მის შესრულებას ყველა ვერ მოახერხებდაო. ხმ. ბაბოვი ეთანხმება ხმ. სულხანიშვილს, მაგრამ ამბობს, აღვძრათ კიდევ შუამდგომლობა კავკასიის ნამესტნიკთან ამის შესახებ, რომ ის საკითხები, რაც პეტერბურგში უნდა განხილულიყო, აქვე განვიხილოთო.

კრებამ მიიღო, როგორც ხმ. სულხანიშვილის, ისე ხმ. ბაბოვის წინადადებანი. შემდეგ გამგეობის წევრმა ბ-ნ კოკიჩაევმა წაიკითხა თავისი მოხსენება საიურისკონსულტო ნაწილის მოწესრიგების შესახებ. გამგეობის წევრის აზრით, ეს საქმე კარგად უნდა მოეწყოს, რადგან დღევანდელი ორი ვექილი საქმეს ვერ ასდის, ბევრი დაბრკოლება ეღობება წინ და საჭიროა მოწვეულ იქმნას იურისკონსულტი, რომელსაც ეს ნაწილი ჩაბარდება და ყველანაირ იურიდიულ საქმეს წინ გაუძღვებაო. როგორც მის მოხსენებიდან სჩანს, ამჟამად ქალაქს ჰყავს ორი ვექილი, ერთი საქმის მწარმოებელი და მწერალი. ახლა კი მოწვეულ უნდა იყოს მესამე ვექილი და ორი მწერალი. ვექილს უნდა დაენიშნოს 2,400 მან. ამ მოხსენების შესახებ ხმოსნები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ მესამე ვექილის მოწვევა ქალაქის საქმეებს ვერ უშველის. ხმ. ბაბოვის სიტყვით, ტფილისს საკმაო მოსამსახურე ჰყავს, ამდენი არც ერთს ქალაქს არა ჰყავს, მაგრამ საქმეები კი კარგად ვერ მიდის, ეს იმიტომ, რომ კარგი ორგანიზაცია ვერ არის. უნდა უსიტყოდ გადაკეთდეს იგი, ვინც მეტია, სამსახურიდან უნდა იქმნას დათხოვნილი და, ვინც დარჩება, მას უნდა ჩაბარდეს ცნობილი საქმე. მეორე ჯგუფი უერთდება მოხსენებას და ამტკიცებს იურისკონსულტის მოწვევის საჭიროებას.

დიდი კამათის შემდეგ, ამ საკითხს კენჭი უყარეს ფეხზე წამოდგომით და ხმის უმეტესობით ეს მოხსენება მთლიანად იქმნა მიღებული.

კორესპონდენცია

ქართლი. მკითხველს მოეხსენება, რომ ქართლის სოფლებმა სულ დაითხოვეს სოფლის-მამასახლისები და პოლიცია-სასამართლოებთანაც ყოველივე კავშირი შესწყვიტეს. პირველ ხანებში, ვითომ არაფერი, პოლიციამ მაგრე რიგად არ მიაქცია ყურადღება: მით უფრო კარგი ჩვენთვის, ვისხდებით მოსვენებით, რა გვენაღვლება, ჯამაგირს ხომ სრულად ავიღებთო. თქვენ-კი შეგეტყობათ, ოსები რომ დაიწყებენ თარეშობას, თუ ჩვენი თავი საჭირო არ იქნებაო. მაგრამ გავიდა ხანი, ხალხმა ერთმანეთში ასის-თავი, ათის-თავები აირჩია და საქმეების გარჩევა და სოფლის მოვლა იმათ დააკისრა. საქმე ისე კარგად წავიდა, რომ პოლიცია აღარავის შეუწუხებია.

უქმად დარჩენილმა პოლიციამ რაღაც მოძრაობა დაიწყო, მოჰყვებიან სათითაოდ ხელა-ხელა ცალკე სოფლებს, კაზაკ-სტრაჟნიკებით, და ატუსაღებენ ხალხის გულშემატკივართ. 25 ამ თვესაც ჩაატარეს ოთხიოდე მეჯვრისხეველი ახალგაზრდა ვაჟი, ერთი აზნაური იყო. პოლიცია ამათ აბრალებს,—ხალხს აგულიანებდნენ—მოხელეები აღარ ამოირჩიოთო. პოლიციამ კარალეთის საზოგადოებასაც უბძანა—ამოირჩიეთ მამასახლისიო. ხალხიც იძახის: ფულს თუ ძალად გადაგვახდევინებენ, მოხელეებთანაც ხომ ძალად ვერ გაგვგზავნიან საჩივლელადაო. ჩვენი ოფლით აქამდისაც ბევრს ოხერს უცხოვრია და ახლაც წაიღონ, ეგები ერთხელ ყველასზე მაინც ვისმე დაადგეს და თან გადაიტანოსო.

სოფელ სვენეთში შარშან ფულის მკრებავებმა ნაცვლის თანხლებით თექვსმეტიოდე თუმანს კვალი უშვეს. ხალხი ანგარიშსა სთხოვდა. ისინიც—აი დღეს, აა ხვალაო, და საქმეს აჭიანურებდნენ. ამასობაში ერთობამაც უსწრო. ხალხს ფულისათვის აღარ ეცალა, ანგარიშს აღარვინ კითხულობდა, სოფლის ფული სამი კაცის ჯიბეში იდო. ვინ იცის, საწყლები ფიქრობდნენ, რაკი ერთობაა, გინდა მე მიჯიბეშია სოფლის ფული, გინდა იმ სამ კაცს, სულ ერთიაო. მაგრამ მოაწია პირველმა მაისმა და ის ფულიც მოაგონდა გიდასაც. გაისმა სოფლებში ზარის ხმა. შეიყარა ხალხი, დაიბარეს ის სამი კაციც და მოჰკითხეს ანგარიში. იმათ სთქვეს, სამოცდა-ხუთი თუმანი სრულად შეგვიტანია ხაზინაში, ბარათი ბოქაულსა აქვსო. მაგაზე დასთანხმდა ხალხი, მხოლოდ ჰკითხა,—დანარჩენი 160 მანათი რაღა უყავითო. „ბარჩიკებმა“ ნაცვალს გადაჰხედეს, ნაცვალმა „ბარჩიკებს“. იძრინეს თავი, ათასნაირად ეცადნენ, ხელიდან გასხლტომოდნენ ხალხს, მაგრამ მაინც გაებნენ. ხალხმა დაუდო ვადა ოც მაისამდე. ოცი მაისი გავიდა. იმათ ფული არ შეაბერტყეს. მერე ოცდა-ოთხ მაისს წავიდა ხალხი, გამორეკა იმათი საქონელი და დაამწყვდია ერთ ეზოში, სანამ ფულს არ მოიტანდნენ. ნაცვალს არ ეჭაშნიკა ეს და მაშინვე ახლა მეჯვრისხევში ბოქაულს: სვენეთში „ბუნტია“, ზარსა რეკავს ხალხი, ყრილობას ახდენს, ძალადობს, მე და ჩემს ორ ამხანაგს საქონელი დაგვტაცეს, რადგან ხალხს სახელმწიფო ფული არ დავანებეთო.

იმავე დღეს, ნაშუადღევის პირველ საათზე აქ გაჩნდა ბოქაული, საქონელი გამოაშვებინა, ვითომ ყრილობის მეთაურები: ვასილ სათაშვილი, ესტატე გოდელაშვილი, ილია ხაზალაშვილი და სინა ზერეკიძე თავისთან წაასხა და მეორე დღეს გორში გაისტუმრა რაპორტით. ერთიც აკლდებოდა, მოსია სათაშვილი და იმასაც დაეძებდნენ, ხალხს გამოეგზავნა ბოქაულთან ოთხი კაცი, რომლებმაც აუხსნეს ბოქაულს დაწვრილებით საქმის გარემოება.

ბოქაულმა არ მიიღო ხალხის განმარტება და „მეთაურები“ დაპატიმრა.

გაბოროტებულმა ხალხმა იმავ ღამესვე ხელმეორედ გარეკა იმ სამი კაცის საქონელი, ხოლო თვითონ იმათ მოკვეთა (ბოიკოტი) გამოუცხადა. მეორე დღეს ეს სამი კაცი დილა-ადრიანად მობრძანდნენ ჩემთან,—საქონელი ხელმეორედ წაგვართვეს, ბოქაულთან უნდა ვიჩივლოთ, რას გვეტყვიო.

მე ვუთხარ: საღამოზედვე ასი კაზაკი სოფელში გაჩნდება, სოფელი დაიღუპება, თქვენ იქნებით ამის მიზეზი-მეთქი. წავიდნენ გორში,—ეგები ორი კაცი ვინმე შევუგზავნოთ სოფელს, ფულს გადავიხდით, რასაც გვედავებიან, ოღონდ სოფელმა საქონელი გამოუშვას და გვაპატიოს ჩვენი შეცდომა, ჩვენვე ვიტყვით მთავრობასთან, რომ ძალად დავაბეზღეთ ის ხუთი კაციო, და ეგები გამოაშვებინოთო.

ეს ორი კვირა იქნება, რაც ხელთუბანში იჭყურმა მემამულე ქალებმა თავის სათიბი და საძოვარ მიწებში, 70-დე კაზაკი ჩააყენეს ცხენების საძოვრად. დღეში ცხენზე იღებენ 15 კაპეიკს. თუმცა სახელიც და სახნავიც ამათია, მაგრამ კაზაკი არ კითხულობს, თუ ვისაა, და ბევრი გლეხის სათიბიც გამოაძოვებინა ცხენს. იღრიჯება უსიამოვნოდ გლეხ-კაცი, მაგრამ „ბატონის ქალებს“ რას აწყენინებს, როცა იცის, რომ იქვე მეზობლად 70 თოფი აუდია და 70 მათრახი ტუნტურებს. ამიტომ ჯერ-ჯერობით „მშვიდობიანობაა“. ხოლო რომ ამ ქალბატონებს „დიდი გავლენა“ აქვთ, ამას ისიც ამტკიცებს, რომ კაზაკის აფიცრები და ბოქაული თითქმის მუდამ დღე იმათი სტუმრები არიან. ხოლო, როგორც ეტყობა, „ერტობას“ (ასე ეძახის ერთ-ერთი იმათგანი, რადგან ინსტიტუტი აქვს გათავებული და „კარტული“ აღარ ეხერხება) ძალიან ნერვები აუშლია იმათთვის.

ოცდა-ექვსს ამ თვეს, ზედ ამაღლების დღეს, საშინელმა ქარიშხალმა და სეტყვამ მთლად გაანადგურა სოფელ ხელთუბნისა, თორტიზისა და რეხის ვენახები და ყანები. ისეთი სდგას ვაზები, თითქო ახალი შეველილიაო. ცალიერი სარები-ღა ჩხირია, ხილიც სულ გაანადგურა. ხალხი სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი.

მტკიცდება ის ხმა, ვითომ ამას წინად თავად-აზნაურობის რაზმში ოთხი კაცი ჩაწერილიყოს, ოსები ვართო. თურმე ცხენებს უვლიდნენ, ემსახურებოდნენ, ყველა კმაყოფილი იყო იმათი. ერთ ღამეს ორ იმათგანს ერგო დარაჯობა. როცა ყველას დაეძინათ, შეატყობინეს ამხანაგებს, აარჩიეს ოთხი საუკეთესო ცხენი, აჰკიდეს თოფები და პატრონები, რასაც მოერეოდნენ, შესხდნენ და—ჰქრა. მეორე დღეს ეძებენ თავ-გადაკლებულნი რაზმელები, მაგრამ ვეღარა იპოვეს-რა!

რ. ოდეთ.

ქ. ბათომი, 7 ივნისი. ამ ბოლო დროს ბათომში თითქმის ყოველ დღე იჭერენ გაფიცულ ნოქრებსა და სასტუმროების მოსამსახურეებს: 5 ივნისს ბულვარში დაიჭირეს 13 კაცი, 6-ს სხვადასხვა ადგილას—ორმოცი კაცი და ყველას ხელ-წერილი ჩამოართვეს,—ოცდა-ოთხი საათის განმავლობაში ან შეუდგეთ სამსახურის ასრულებასა და ან ბათომიდან წადითო. ამ ამბების შემდეგ ვაჭრებს კრება ჰქონდათ, რომელზედაც გადასწყვიტეს, დაკმაყოფილდნენ ნოქრები, რამდენადაც ეს შესაძლებელია, და აირჩიეს დეპუტაცია, რომელიც უნდა წარუდგეს დროებით გენერალ-გუბერნატორს და სთხოვოს: ნუ მიიღებს ნოქრებისა და მოსამსახურეების წინააღმდეგ სასტიკ ზომებს, რადგან ერთმანეთში შეთანხმების იმედი ჯერ კიდევ არა გვაქვს დაკარგულიო. დროებით გენერალ-გუბერნატორს დეპუტაცია უკვე წარუდგა დღეს და მათი თხოვნაც შეწყნარებულ იქმნა. თავ. ჯამბაკურიან-ორბელიანმა ამასთან აღუთქვა ვაჭრებს, რომ გაფიცულებს მოვიწვევ და ავუხსნი, რაც შეიძლება, ერიდონ ისეთ პირობების დადებას, რომლის ასრულებაც შეუძლებელი იქნებაო.

5 ივნისს აქაურ ბულვარში გაიმართა სახალხო სეირნობა. უკრავდა ორი ორკესტრი სამხედრო მუსიკისა. როცა სეირნობა დაიწყო და მოსეირნე ხალხმა ბლომად მოიყარა თავი; ხალხიდან ერთმა კაცმა მუსიკის დამკვრელ ჯარის კაცებს შემდეგის სიტყვით მიჰმართა: „მაშინ, როდესაც შორეულ-აღმოსავლეთში ასი-ათასობით წყდებიან ჩვენი ძმები, იმ სისხლის ღვრის შემდეგ, რომელიც მოხდა პეტერბურგს, ვარშავასა, კიშინიოვსა, ბაქოსა, ნახიჩევანსა და ბევრ სხვა ქალაქებში, ჩვენ გვმართებს გლოვა და ტირილი და არა სეირნობა და მხიარულებაო, ამიტომ, აქ შეკრებილ ხალხის მინდობილობით ვთხოულობ, რომ მუსიკა გაჩუმდესო“. მემუსიკეები დაიბნენ და არ იცოდნენ, რა ექნათ, მაგრამ აქვე მდგომმა კაზაკის აფიცერმა უბრძანა მათ, მუსიკა ისევ განაგრძეთო, რაც ასრულებულ იქმნა. მაშინ მოგროვილ ხალხის ჯგუფიდან მოისმა: ძირს მუსიკა, რა დროს მხიარულებაა... და სხვა. ამის შემდეგ ზემოხსენებულ აფიცერმა ხალხში რამდენჯერმე რევოლვერი დაცალა და სამი უბრალო კაცი დაჭრა, ერთი ამათგანი სასიკვდილოდ. ამ ამბავმა ხალხი ძლიერ დააფრთხო: ბევრი ყვითელი „ტუფლებები“ და აბრეშუმის კაბები დაიხა ღობის სარებზე. რამდენისამე წუთის შემდეგ მუსიკა ისევ უკრავდა, თუმცა უფრო ხრინწიანის ხმით... საკრავები დაუშეშდათ.

„ერთგულ სამსახურისათვის“ ბათუმში მყოფ კაზაკ-რუსებს თითოს ას-ასი მანათი დაურიგეს.

გ. ი. ვოლსკი დამტკიცებულ იქმნა ქალაქის მოურავის მოადგილედ. სამსახურის ასრულებას შეუდგა 8 ამ თვეს.

ქალაქის ყოფილი ბეითალი ვ. ა. ვართანიანცი კვირას, 5 ივნისს, ადმინისტრაციამ დააპატიმრა. 6-ს ამ თვეს გამოგზავნეს ტფილისში, მეტეხის ციხეში. ვართანიანცს პოლიტიკურ აგიტაციაში მონაწილეობის მიღება ბრალდება.

6 ივნისისთვის აქ რამდენიმე კაცი გაჩხრიკეს და დაიჭირეს. უნახეს მრავალი აკრძალული გამოცემა. ადმინისტრაციის აზრით, დაპატიმრებულნი მოთავენი არიან ადგილობრივ პოლიტიკურ აგიტაციისა და ფარულ კომიტეტისა.

ამ დღეებში კაზაკის აფიცერმა სასიკვდილოდ დასჭრა სომეხი არშაკ ვოსკანიანცი, რომელმაც ეს აფიცერი გალანძღა.

გუშინ სასიკვდილოდ დასჭრა უცნობმა კაცმა მეეზოვე ივანე პოლიაჩენკო. გუშინწინ სასიკვდილოდვე დასჭრეს „სტრაჟნიკი“, რომელიც ხალხში გადაცმული დაძვრებოდა.

ბათომში უკანასკნელი ქარხნები ა. ი. მანთაშევისა დაიხურა და მუშები, თითქმის სამი ათას კაცამდე, ბათომიდან თავ-თავიანთ სახლებში წავიდნენ. ბარცხანაში აღარავითარი მოძრაობაა,—დადგა ის სიმშვიდე და წეს-წყობილება, რომელსაც მთავრობა ასე ნატრულობს...

ანარშო.

ღამის დეპეშები

(რუსეთისა და პეტერბურგის სააგენტოებისაგან)

10 ივნისი.

პეტერბურგი, 10 ივნისი. შინაგან საქმეთა მინისტრმა გაზეთ „რუსის“ გამოცემა ერთის თვით შეაჩერა.

შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკი ადმირალი ალექსეევი დათხოვნილ იქმნა თავის თანამდებობიდან და დაინიშნა სახელმწიფო საბჭოს წევრად, ხოლო გენერალ-ადიუტანტის წოდება ისევ შერჩება.

პარიზი, 9 ივნისი (ჰავასი). ზოგიერთ ფასიან ქაღალდების კურსების დაცემამ დეპუტატთა პალატის წევრნი გააკვირვა. ლაპარაკი აძრეს, საგარეო პოლიტიკის გართულებამ ხომ არ გამოიწვიაო ფასიან ქაღალდების კურსების დაცემა. რუვიემ პალატის კულუარებში განაცხადა, გავრცელებული დამაღონებელი ხმები მოკლებულია სინამდვილეს.

სახალინი, 9 ივნისი. მშრალი და ცხელი დარებია. ზაფხულის ჩვეულებრივი გვალვა დაიწყო. მცხოვრებნი განაგრძობენ კუნძულიდან ხმელეთზე გადასვლას.

ხარკოვი, 9 ივნისი. საბჭოს დღევანდელმა კრებამ დაადგინა, დაბეჭდოს ხელმწიფის სიტყვა, რომელიც მან ქალაქისა და ერობის მოღვაწეთა წარმომადგენელთ უთხრა, და გაავრცელონ მცხოვრებთა შორის. შემდეგ საბჭომ დაადგინა, მოსკოვში მოწვეულ ქალაქის მოურავთა კრებაზე სამი წარმომადგენელი გაიგზავნოს ხარკოვის საბჭოსაგან.

ლონდონი, 9 ივნისი. გამოქვეყნებულია „მწვანე წიგნი“ კიტჩენერის მიერ ინდოეთში სამხედრო ადმინისტრაციაში რეფორმების შემოღების თაობაზე. თავდაპირველად მეფის მოადგილის მთავრობა წინააღმდეგი იყო კიტჩენერის პროექტისა, მაგრამ ლონდონის მთავრობამ უკლებლივ შეიწყნარა. კიტჩენერს შემდეგი მოსაზრება მოჰყავს რეფორმების აუცილებელ საჭიროებათა დასასაბუთებლად: ინდოეთი ახლა აღარაა წინანდელს სასურველ მდგომარეობაში, რადგანაც მაშინ დაცალკევებული იყო. მაშინ ბრძოლა საჭირო ხდებოდა შინაურს ამბოხებასა და ყაჩაღად გავარდნილთა ბრბოებთან; მას შემდეგ საშუალო აზიის უდაბნოები, რომელიც განცალკევებულ უღრან მიდამოებად ითვლებოდა, ევროპის ერთ-ერთ დიდ სახელმწიფოს თანდათანისა და მუდმივის მეცადინეობის მეოხებით, ხელმისაწვდომი გახდა და ახლა რკინის გზის ლიანდაგებითაა დაქსელული, ხოლო ამ გზების გაყვანის აზრი აღარავისთვის საეჭვო არაა. ინგლისს ყოველი საფუძველი აქვს იფიქროს, რომ ჩრდილოეთის მეზობელი დაუცხრომლად ემზადება ომისათვის; ეს ომი კი ინგლისის ჩრდილოელ მეზობელს უთუოდ მოუხდება მომავალში, თუ უნდა თავისი არსებობა შეინარჩუნოს, ხოლო მაშინ ინგლისი იძულებული შეიქმნება იომოს იმ ძალ-ღონით, რომელიც ინდოეთში იქნება თავმოყრილი, ე. ი. ჯარების დღევანდელ რაოდენობით. მაშინ გვიან-ღა იქნება წამხდარ საქმის გამობრუნება და ინდოეთის სამხედრო ადმინისტრაციის საქმეების ახალს წესზე მოწესრიგება. „მერე დააკმაყოფილებს მაინც თუ არა ინდოეთის აწინდელი სამხედრო სისტემა იმ სამძიმო მოთხოვნილებათ, რომელიც მაშინ გამოკვეტყვრება“? ამაზე, რომ შეიძლებოდეს, დიდის სიხარულით ვუპასუხებდი: „დიალ“ მეთქი, მაგრამ, სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ „დიალ“-ის მაგივრად უნდა ვსთქვა: „არა“!—ასე ათავებს თავისს მოსაზრებას ლორდი კიტჩენერი.

სიმლა, 9 ივნისი. იუწყებიან, დიდ-ბრიტანიის გარდაწყვეტილებამ ინდოეთის სამხედრო ადმინისტრაციაში რეფორმების მოხდენის შესახებ—აქ დიდი მითამ-მოთქმა გამოიწვიაო. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, გენერალი სერ ელლისი, ინდოეთის მეფის მოადგილის საბჭოს ახლანდელი სამხედრო წევრი, სამსახურიდან გადის. ბროდრიკს შეუწყნარებია გენერლის თხოვნა სამსახურიდან გადადგომის თაობაზე პირველ ოქტომბრიდან ახალის სტილით.

დროებითი რედაქტორი **ფ. გოგიჩაიშვილი.**
გამომცემელი **თ. პავლე ი. თუმანიშვილი.**

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა
18 აპრილიდან.
(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 4 ს. 59 წ. (5 ს. 57 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 7 ს. 29 წ. (8 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 13 წ. (12 ს. 11 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ბათუმს: 1) წრაფი № 1 ღამის 10 ს. (10 ს. 58 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 11 ს. 28 წ. (12 ს. 26 წ.); სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 50 წ. (12 ს. 48 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ბ) ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 28 წ. (3 ს. 26 წ.); 2) საფოსტო № 3 დილის 10 ს. 43 წ. (11 ს. 41 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 51 წ. (6 ს. 49 წ.); 4 საქონ.-სამგზავრო № 17 ღამის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

ბათუმიდან: 1) სწრაფი № 2 საღამოს 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 33 წ. (11 ს. 31 წ.)

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 24 წ. (6 ს. 22 წ); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 28 წ. (4 ს. 26 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 18 წ. (2 ს. 16 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 33 წ. (5 ს. 31 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 38 წ. (1 ს. 36 წ.) 4) საქ.-სამგზ. დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.).

დ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 საღამოს 6 ს. 33 წ. (10 ს. 31 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 5 ს. 55 წ. (6 ს. 53 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს.წ. ს. 11) 6 7 წ.).

ე) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 12 ს. 25 წ. (1 ს. 23 წ.); 2) დილის 9 ს. 43 წ. (10 ს. 41 წ.) და 3) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.).

ბათუმისაკენ: 1) დილის 4 ს. (4 ს. 58 წ.); 2) ნაშუადღევის 1 ს. 46 წ. (2 ს. 44 წ.); 3) საღამოს 7 ს. 22 წ. (8 ს. 20 წ.).

შორაპანიდან: ნაშუადღევის 1 ს. 20 წ. (2 ს. 18 წ.)

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ახალი წიგნი
ბრძოლა არსებობისათვის
დრამატიული პოემა 4 მოქ. და 7 სურათად
და სხვადასხვა **ლექსები და პოემები** დ. გაბრუაშვილისა. ისყიდება წერა-კით. გამ. საზოგ. და სხვა წიგნის მაღაზიებში. ფასი 60 კ. (30—6—2)

ელექტრონით მბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“, ფრეილინის ქ., № 5.